40
1945

ქალაღური

1945 № 4 მაისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსკოვი. წითელი მოედანი. გამარჯვების სალუტი ათასი ქვემეხის ოცდაათი საარტილერიო ზალპით 1945 წლის 9 მაისს.

ზემოთ—მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში".

გამარჯვება

ლტაცებით მოველოდით,
გვაგრძნობინა ადრე ძალა.
მოწრიალდა ღამით გვიან
და ქალაქზე ფრთა გაშალა.
შემოიჭრა ჩვენს ბინებში,
კედლებს შუკი მიაფინა.
გულში გრძნობის ყველა სიმზე
გაიელვა, გაირბინა.
აწკრიალდნენ ჩონგურები,
ყველამ ყელი მოიღერა.
ჩვენც გუნდ-გუნდად ავსმიანდით,
გამარჯვებამ აგვამღერა.
ძილი გაჰქრა, დაიკარგა,
ღამემ თალხით ვერ დაგვფარა,
შერცხვენილი ბოლოს ჩუმად
ქალაქიდან გაიპარა.
დილამ თვალი გაახილა,
გამარჯვება შოგვილოცა,
მშობელივით მოგვეხვია,
აღმზრდელივით გადაგვკოცნა.
ცამ სხივები დაგვაყარა,
ქვეყნად დარი ცვლიდა ავდარს
ვმღეროდით და ვზეიმობდით,
მზე მამულის ღიმილს ჰგავდა;
მის ბრწყინვაში ჩვენ ვხედავდით
გამარჯვების მთავარსარდალს.

გიორგი კაჭახიძე



4091

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო! თანამემამულენო!

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ ბოვი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

შვიდ მაისს ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. რვა მაისს გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის და საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო რვა მაისს ოცდაოთხი საათიდან.

ვიცით რა მგზური ჩვეულება გერმანელი მმართველებისა, რომლებსაც ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ფარატინა ქაღალდად მიაჩნიათ, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვერწმუნოთ მათს სიტყვებს. მაგრამ დღეს დილიდან გერმანელთა ჯარები კაპიტულაციის აქტის შესასრულებლად მასობრივად შეუდგნენ იარაღის დაყრას და ტყვედ ნებდებიან ჩვენს ჯარებს. ეს უკვე არ არის ფარატინა ქაღალდი. ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ნამდვილი კაპიტულაციაა. მართალია, გერმანელთა ჯარების ერთი ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის რაიონში ჯერ კიდევ არიდებს თავს კაპიტულაციას. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ წითელი არმია შესძლებს გონს მოიყვანოს ეს ჯგუფი.

ახლა ჩვენ სრული სიფუძვლით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვების დღე.

დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აუოაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ,—ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა თავიანთი არსებობისა და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიადი დროშა.

სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა მან ეერასოდეს ვეღარ შესძლოს წამოდგომა". ეს იყო სამი წლის წინათ. მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა,—ომის მსვლელობამ გაიცამტვერა ისინი. ნამდვილად გამოვიდა რაღაც ომის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ. გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები კაპიტულაციას ახდენენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევ კასილი

საყვარელო მეგობრებო, ძვირფასო ბავშვებო, ჩემი დიდი ქვეყნის შვილებო!

რარიგ ბევრი რამის თქმა მსურს თქვენთვის გამარჯვებისა და ზეიმის ამ დიად დღეს! ხოლო რაოდენ ძნელია გამოსძებნო სიტყვები, რომელნიც შეეფერებიან ასეთ დღეს.

და აი, მე ვიტყვი: დღესასწაული. მაგრამ ხომ გვქონდა დღესასწაულები უწინაც, ხოლო ასეთი დღესასწაული ჯერ არასოდეს არ ყოფილა.

მე ვიტყვი: სიხარული. მაგრამ უწინაც ხომ არა ერთხელ გაგვიხარნია, და აი ასეთი სიხარული, როგორიც დღევანდელია, ასეთი ბედნიერება, თქვენ, ბავშვებს, და ჩვენც მოზრდილთ, დიდაც ცხოვრებაში ჯერ არასოდეს არ განგვიცდია.

მაგრამ არის, ბავშვებო, ერთი სიტყვა, მოკლე, სადა სიტყვა. ეს სიტყვა იყო ჩვენი საოცნებო, რომელიც გვინათებდა ჩვენი ქალაქების ჩაბნელებულ ქუჩებს, გვიბობდა ყინვაში, თავისკენ მოუხმობდა ჩვენს მებრძოლებს. მებრძოლები, იერიშზე რომ მდიოდნენ, ამ სიტყვას ჩურჩულებდნენ და იცოდნენ, რომ დადგებოდა დრო, როცა მჭუხარედ, ძლევამოსილად დაიჭექებდა იგი — ეს სასწაულებრივი, საყვარელი სიტყვა.

და აი დადგა დღე, რომლის სახელიც აწ-მარადის ეს სიტყვა იქნება. იგი გრიალებს დღეს ყველა სალუტზე უფრო მეტად, იგი მაისის მზეზე უფრო კაშკაშებს, რომელმაც ჩვენს ბინებში შემოიხედა დილაადრიან. როცა ლოგინიდან წამოვხტით და ეს ნანატრი სიტყვა გვეკერა პირზე.

გამარჯვება!—აი ეს სიტყვა. გისმთ, როგორ ქოერს დღეს ეს სიტყვა—გამარჯვება?

ნაშუადამევს 2 საათსა და 10 წუთზე შემოგვესმა ეს სიტყვა. ფასკუნჯიანი მოფრინდა იგი ჩვენს მიწა-წყალზე. ის შეფრინდებოდა ყოველ სახლში, და იქ, სადაც ეს მასარობელი შეფრინდებოდა, ადამიანებს სახე უბრწყინდებოდათ, ფანჯრებში სინათლე აანთებდებოდა. უკვე აღარ გვეძინებოდა ჩვენ ამ დამეს. წკრიალებდნენ ტელეფონები მთელ მოსკოვში. ადამიანები ულოცავდნენ ერთმანეთს, კარს უკაკუნებდნენ მეზობლებს, ბავშვები წამოხტებოდნენ საწოლებიდან, ნამძინარევ თვალებს იფშვნეტტნენ და კითხულობდნენ: „ეს სანამდვილია, თუ ისევ სიზმარში ვართ?“ ღა მათ ვერასგზით ვიღარ ვაწვენდით ხელაწყლა ლოგინში. მაგრამ რა გაეწყობოდა მათთან ასეთ დამეს. ან როგორ დაწყნარდებოდნენ, თუ კი ისინი დასაძინებლად ჯერ კიდევ ომის დროს დაწოლნენ. ხოლო გაალვიძა ისინი თვით გამარჯვებამ!

და აი მოსკოვის ქუჩებში, რომელთაც უკვე ლურჯად დანათის მაისის დილის ცა, აწკრიალდა ბავშვთა ხმები, და ვიღაც აბ-ღერდა ჩემს ფანჯარასთან, და ვიღაც გაჰყვიროდა მთელ ქუჩაში: „ვასიუტა, ომი დამთავრდა! ადექი, თორემ ძილში ყველ-ფერი გამოგეპარება...“

და როგორი დილა იყო დღეს მოსკოვშ-! პირველი დილა ომის შემდეგ. გაჭქრა გუშინდელი ღრუბლები, გაშრა ტროტუარები, მზემ სხივები ისე სტყორცნა ფანჯრებს, გეგონებოდათ მინები ეკენებივით აწკრიალდებაო. არც ერთი ღრუბლის ნაფლეთი არ იყო გაზაფხულის ლაჟვარდოვან ცაზე, იქ ფრიალებდნენ გამარჯვების ალისფერი საზეიმო დროშები.

გილოცავთ გამარჯვებას, მეგობრებო, გილოცავთ გამარჯვებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიხსომეთ ეს დღეა, ბავშვებო! ოდესმე თქვენნ შვილიშვილები ხარბად დაგიწყებენ გამოკითხვას იმის შესახებ, თუ როგორ იზრდებოდით და სწავლობდით მრისხანე წლებში, როცა ჩვენი ხალხი ჯერ მარტოდმარტო, ხოლო შემდეგ ჩვენი მოკავშირეების მხარდამხარ ურტყამდა ფაშისტთა ავაზაკურ არმიებს და გაანადგურა ისინი. და თქვენ მოუთხრობთ თქვენს შვილიშვილებს, თუ 1945 წლის 8 მაისის ღამეს როგორ გაშალა თქვენს თავზე თავისი ელვარე ფრთები ფრინველმა—გამარჯვებამ და როგორ წამოჰხტით თქვენ, გახარებულნი, ტაშს უკრავდით, მშობლებს ეხვეოდით და მთელი ხმით გაყვიროდით „ვაშას“ წითელი არმიისა და სტალინის პატივსაცემად.

დიახ, თქვენ გექნებათ საამბობი, მოსაგონებელი.

ვიცი, ბავშვებო, თქვენ ზოგჯერ გიმძიმთ. თქვენ მრისხანე დრო გამოიარეთ. ამან გულდი და მტკიცე გაგხადათ. ვიცი ბავშვებო, რომ რარიგ დიდიც უნდა იყოს ჩვენი საერთო სიხარული, ზოგიერთი თქვენგანი სიმწარესაც განიცდის იმ ძვირფას და ახლობელ ადამიანთა დაღუპვის გამო, რომელთაც თავი დასდეს ჩვენი გამარჯვებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმისათვის. და ასეთ ბავშვებს მე მსურს ვუთხრა დღეს:

მეგობრებო, მშობლიურნო! ჩვენ სულითა და გულით თქვენთან ვართ გამარჯვების ამ დღეს! თქვენ—ყველაზე ძვირფასნი ხართ ჩვენს დიდ ოჯახში. საბჭოთა ხალხს და მთელ კაცობრიობას მარადჟამს მადლობის გრძნობით ეხსომებათ თქვენი მამებისა და უფროსი ძმების მგრობა. ხალხი გაიკაფავს თქვენ ცხოვრების ფართო გზას, და ყველა პატივისცემით დაგითმობს თქვენ უკეთეს ბილიკს,—ამისათვის იზრუნებს ჩვენი სახელმწიფო, ამისათვის იზრუნებს ამხანაგი სტალინი. დიდი სტალინის სახელი ტყრეს თვითეული ჩვენგანის გულში, როცა ჩვენ ვამბობთ: გამარჯვება.

მოგილოცავთ გამარჯვებულთა შვილებო! მოგილოცავთ გამარჯვების დღეს! უყურეთ, როგორ ძლევამოსილად იცქირება მზე! რა დღეა, ბავშვებო! რა დღეა!

და საღამოს, როცა გაჩაღებულიყო ზეიმი, ანუ, რადგან გამოცხადა, რომ ... სტალინი სიტყვით გამოვა. მოსკოვის ყველა კუთხიდან ასიათასობით ადამიანი მოსწრაფვოდა წითელი მოედნისაკენ. ყველას უნდოდა ამ ისტორიულ წუთებს ყოფილიყო თვით მოსკოვის გულში, კრემლთან, სტალინთან ახლოს. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ასიათასობით ადამიანი ესწრებოდა მოედანზე,—ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც კი გაისმა სტალინის პირველი სიტყვა. სტალინის სიტყვას უსმენდა ყოველი მოსკოველი, ყოველი საბჭოთა ადამიანი. დედამიწის ზურგზე არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, სადაც არ შეფრენილიყოს დიდებული და სადა, მართალი სიტყვა სტალინისა.

ხოლო ერთი საათის შემდეგ მოსკოვის თავზე აელვარდა ძლევის სალუტი. ასობით პროჟექტორის სხივები გაეკრა მოსკოვის ცას, რითაც წარმოიქმნა გამქვირვალე, მოკაშკაშე გუმბათი. ხოლო მის შუა ცენტრში, ღრუბლის ქვემოთ, თვალუწვდენ სიღრმეში ალისფერად აელვარდა გამარჯვების საზეიმო დროშა, უზღვავმა ეროსტატმა რომ ასტყორცნა.

როცა სალუტის ზალპები მიწყნარდა, ათობით თვითმფრინავი დაფრენდა მოსკოვის თავზე, აფრქვევდა წითელ, ოქროსფერ, იისფერ ბოლქვებს გამაკაშკაშებელ და სასიგნალო შუშხუნებისას. და დიდხანს ამ ღამეს არ აქრობდა და არ აცხრობდა თავის ციცხლოვან ალებს მოზეიმე მოსკოვი — მოსკოვი—გამარჯვებული.

ოცნებით ასეთად წარმოგვიდგინა ჩვენ ეს დღე. გამარჯვების დღე. გამარჯვების დღესასწაული. და კიდევ რამდენი კარგი დღე მოგველის მომავალში! გაიზარდენით დიდები, გაიზარდენით ისეთნი, რომ ყოველი დღე თქვენი ცხოვრებისა სასახელო განგრძობა იყოს ოცოცანოიანი დღისა.

გილოცავთ გამარჯვებას, მეგობრებო, გილოცავთ გამარჯვებას!

ᲒᲘᲠᲒᲘ ᲡᲮᲣᲠᲣᲞ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲯᲐᲨᲘ

— გთხოვთ დაგვიწეროთ წერილი, რომელსაც ეძღვნება რჩევა-დარიგებისა და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჩვენი ნორჩ-პიონერებისათვის. ასეთი თხოვნით მომმართა ჟურნალ „პიონერის“ რედაქციამ.

ამ თხოვნას ვასრულებ დიდის სიამოვნებით და ეს გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, ვინაიდან მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლე საბოლოოდ მიმართული იყო და არის ჩვენი მომავალი თაობის კეთილდღეობისაკენ.

ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა, პიონერმა მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ:

ჩვენი დიდი კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და მათი სულისჩამდგმელი დიდი **სტალინი** მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ საბჭოთა ბავშვების საკეთილდღეოდ.

პიონერმა მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ სხვა ქვეყნებში ასეთი მზრუნველობა ბავშვებისადმი, სამწუხაროდ, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, მშრომელი მასები, ე. ი. მუშები და გლეხები ჯერ კიდევ არ განაგებენ თავიანთ ბედ-იღბალს.

აი ეს ორი ანბანური ჭეშმარიტება (რომლის გაგება ძალიან ადვილია) პიონერმა უნდა შეისისხლხორცოს კარგად, მტკიცედ (რა თქმა უნდა, უფროსების დახმარებით), რაც მას ზედმიწევნით გაუადვილებს წარჩინებულად შეასრულოს ყველა დანარჩენი მისი მოვალეობანი.

საბჭოთა ქვეყნის ბავშვებისა და არასაბჭოთა ქვეყნების ბავშვების მდგომარეობაში არსებულ პირობების სხვადასხვაობას ჩვენი პიონერი ნათლად, ცხადად უნდა ხედავდეს და ეამოდეს, თუ საიდან წარმოიშვება ეს სხვადასხვაობა, რაც მას გაუადვილებს მისი ამოცანების კარგად გაგებას და აგრეთვე წაახალისებს უფრო და უფრო შეგნებულად და გულმოდგინედ იშრომოს, ისწავლოს, განვითარდეს და პირნათლად გაამართოლოს მისი დანიშნულება.

მე ბევრჯერ მქონია პიონერებთან შეხვედრა და მათთან მუსაიფი, აგრეთვე თითქმის ყოველდღე მაქვს შემთხვევა ცალკე პიონერთან პირადი შეხვედრისაც, და უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ ეს პატარა, ნორჩი ბავშვები მეტად კარგად და ადვილად ითვისებენ ყველაფერს, რაც საჭიროა მათი განვითარებისათვის, მათი მომავლისათვის; მხოლოდ ყველა ეს, რა თქმა უნდა, მჭიდროდაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია მიდგომა ბავშვებისადმი.

მე ვიცი დაკვირვება — გამოცდილებიდან, რომ ბავშვებისადმი სწორი მიდგომა იძლევა განსაკუთრებულ დიდ კეთილ ნაყოფს. პიონერთა აღზრდა და მისი სწავლა უნდა მიმდინარეობდეს უდავოდ ერთსა დაიმავე დროს. (პარალელურად), მხოლოდ აღმზრდელობითი მუშაობა ერთგვარად წინ უნდა უძღოდეს სწავლას, რაც უსათუოდ აადვილებს კარგი და სასურველი შედეგის მეღებას.

პიონერი — ეს ბოლშევიკია მომავალში და ამიტომ დღეს იგი ჩანასახია ბოლშევიკისა. ბოლშევიკი რომ ყველაზე უფრო მომზადებული, შეგნებული და მოწინავე ადამიანია, ეს ყველასათვის ცნობილია.

. საჭიროა, რომ პიონერიც ასეთი იყოს, ვინაიდან არაპიონერთა რიცხვი შეადგენს საგრძნობ ნაწილს საბჭოთა ბავშვებისას, რომელთა შორის პიონერებმა უნდა შეასრულონ მოწინავის როლი.

როდესაც მე პიონერებთან, ან კერძოდ პიონერთან მაქვს მუსაიფი, ყოველ ღონეს ვხმარობ, ყველა ხერხს ვიყენებ, რათა პირველ რიგში მათ გავუღვიძო ცოდნის შეძენის სიყვარული. მე ასე ვცდილობ, რადგანდაკვირვებიდან და გამოცდილებიდან კარგად ვიცი; რომ თუ ბავშვს ცოდნის შეძენისსიყვარული გაეღვიძა, შეძლებ ეს პიონერი იქნება, თუ არაპიონერი, სულ ერთია, მისი მიღწევები საუკეთესოა ყოველმხრივ. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს საყვარელმა და საამაყო შვილმა ამხანაგმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ აღნიშნა, ბავშვების გმირობა გამოიხატება მათი კარგი სწავლითაო. ჩვენი პიონერის კარგი სწავლა მარტო იმით კი არ გამოიხატება, რომ მან სკოლაში მიცემული გაკვეთილები დაამზადოს კარგად, არამედ ამასთან ერთად ის უნდა იყოს შრომისმოყვარე, ე. ი. დაეზარებლად აკეთებდეს ყოველივე იმას, რის გაკეთებაც მას შეუძლია, და, ამრიგად, დაეხმაროს ოჯახში თავის დედ-მამას და აგრეთვე ოჯახის გარეშეც: სკოლაში — მასწავლებლებს, კოლმეურნეობებში — წლიური ქირახულის აღების საქმეს და სხვა.

ყველასათვის უდავოა, რომ შრომა ისეთი პროცესია, რომელიც ფიზიკურად აჯანსაღებს, გონებრივად განავითარებს და აკეთილშობილებს მოზარდს, ხალისს უნერგავს მას; ყოველივე ეს კი აუცილებელი პირობაა კარგად სწავლისათვის. აქედან ცხადია, რომ კარგი სწავლა და შრომა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი ერთმანეთისაგან დაცილება სრულიად არასასურველი შედეგს მოგვცემს.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ როდესაც ბავშვი შრომის პროცესში იზრდება, ის არათუ ადვილად ეუფლება სწავლა-განათლებას, არამედ ის ატარებს ნათლად გამოკვეთილ ზრდილობიანობას, რა გრაც უფროსების მიმართ, ასევე თავის ტოლ-ამხანაგებს შორის; მეორე მხრივ კი ცნობილია, რომ შრომის პროცესის გარეშე აღზრდილი ბავშვი ადვილად ეგუება სიზარმაცეს და სიზარმაციდან კი გამომდინარეობს მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები.

ყველა ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არის ბავშვისათვის ძნელი გასაგები და მით უმეტეს იმათთვის, ვინც ბავშვებს უწევს მზრუნველობას აღზრდისა და სწავლის საქმეში, როგორიც არიან მშობლები, მასწავლებლები, პიონერ-კომკავშირთა ორგანიზაციები და სხვა. ზემოაღნიშნულის გაგება განსაკუთრებით აუცილებელია დღეს, როდესაც საბჭოთა ხალხის წინაშე სდგას უდიდესი ამოცანები, რომელთა თავის ღროზე და კარგად გადაჭრის საქმეში ჩვენმა ახალგაზრდა, ნორჩმა პიონერებმა უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი, რის შესაძლებლობა მათ უდავოდ მოეპოვებათ და რაც მისცემს მათ უფლებას სამართლიანად იამაყონ კაცობრიობის წინაშე.

რა უდიდესი ამოცანები სდგანან ამჟამად საბჭოთა ხალხის წინაშე? ეგ ამოცანები ისაა, რომ ჩვენმა საბჭოთა ხალხმა რაც შეიძლება ჩქარა აღადგინოს ყველა ის ნაგებობანი, მრეწველობისა, ტრანსპორტისა დასხვა ყველა სახის მეურნეობანი, რომლებიც გერმანიის ფაშისტურმა ჯარებმა დაანგრიეს— გაანადგურეს ჩვენს ტერიტორიაზე.

ამას გარდა, ჩვენი საბჭოთა ხალხის გადაუდებელი ამოცანა არის დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა შვილებზე ზრუნვა და მოვლა-პატრონობა, საბჭოთა ხალხის ამ წმიდათა წმიდა მოვალეობის შესრულებაში, უდავოა ნორჩი პიონერები თვალსაჩინო როლს შეასრულებენ.

მაშ ასე, ჩემო ძვირფასო ნორჩო პიონერებო! იშრომეთ, ისწავლეთ, დაეხმარეთ თქვენს უფროსებს — კომკავშირელებს, კომუნისტებს და მოლიანად ვმირ საბჭოთა ხალხს ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს აყვავების საქმეში, როგორც ამას ჩვენ მუდამ გვასწავლის ჩვენი მამა და მასწავლებელი მშობლიური დიდი **სტალინი!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

ცხრა მაისისთვის თაიგულები

ყვავილები გადაშლილან
ზამბახის და სუსამბარის;
კიდევ ვარდი! და რა ვარდი,
რომ მისთანა არსად არის!
უნდა შეეკრა თაიგული,
განა ერთი? ბარემ სამი!
ერთი მარშალს, ერთი ბელადს,
ერთიც დიდსა ძია სტალინს —
მაშ სამივე ძია სტალინს!
იცი რატომ? რომ გვახარა
ცხრა მაისის გამარჯვება,
რომ მან მამულს მოუტანა
სიხარული, დიდი შვება!
რომ ოთხი წლის უნახავი
მამა სახლში დაბრუნდება;
რომ მან ასე გაახარა
დედა, ბებო და მამიდა;
გუშინ ძალიან ცრემლებს ჰღვრიდა,
დღეს იცინის, ლხენით არის
და მადლობას უხდის სტალინს!
ერთი კარგი თაიგული
კიდევ მინდა!
რომ შიგ ჩავდო ჩემი გული...
იმ თაიგულს შევკრავ კოხტად,
შევკრავ ლამაზ-ფერიასა;
წერილს დავწერ და მივართმევ
ჩვენს ლავრენტი ბერიასა!

გიორგი ქუჩიშვილი

პირველი მაისი

ნატრობდით და,
აჰა, კიდეც მოსულა
მოშრიალე,
მომხიბვლელი მაისი!
ხანძრებია,
თუ დროშები მოსცურავს,
სალუტია,
თუ დაბომბვის ხმა ისმის?
არა!..
შრომის მოზეიმე მასაა
და გუგუნი
გოლიათ მოსკოვისა;
ეს ბერლინში
ჩვენი შესვლის ვაშაა,
ეს ზარია
ძლეულ მტერთა გლოვისა!

გიორგი ნაჯიშვილი

ნახატები ს. კაცხაველისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეებერთელა მწვანე ხალიჩასავით ბიბინებს მინდორი გაზაფხულზე. ხალიჩაზე ცოცხალი ველური ყვავილებია ამოქარგული. უხვად მიმოფენილან დაყამირებულ მიწებზე და აბალახებულ გზისპირებზე ნუშის ყვავილივით (რაცი პირისფერი ფურიძუძუ, ყვითელი გვირილა და სისხლისფერი ყაყაჩო.

ზაფხულში, როცა თავთუხისა და უფხო დოლის ყანები შეშოვა, როცა მაღალი ძიძობალახი ყანაც ასცილდება, როცა მზესუმზირას ყვავილი ჩამოუკრეხა და მარცვალი მწიფობაში შედის, მაშინ ამ მინდორში ისე შეგიძლია იარო, რომ ვერავინ შეგამჩნევს, კაცს ისე წაადგები თავზე, ვერავინ დაგინახავს.

ახლა კი, ამ გაზაფხულზე ირგვლივ ათ კილომეტრზე შეუმჩნეველი არავინ დაგრჩება. ჯერ სიმინდს ტანი არ აუყრია, ჯერ მზესუმზირას თავისი ყვითელი ქოლგა არ გაუშლია.

ჰაერიც წმინდა, სუფთა, რაღაც საოცრად გამქვირვალე იყო იმ დილით.

ჰოდა, ვინ არ შეამჩნევდა ვეებერთელა სპბარგო მანქანას, გაქანებული რომ მოდიოდა გზაზე. მოხუცმა მელანომ პირველმა დაიგონა რაღაც ყიეინა, წამოიწია, ხელი მოიჩრდილა, ჯერ შორს გამოჩენილ მანქანას მიაჩერდა და მერე თავის გვერდით მომუშავე მეზობლებს მიხედა, თითქოს ეკითხებოდა — ნეტა რა ამბავიაო. რაღაც უჩვეულო ხმაური ისმოდა. მანქანის ძარაში ხალხი ფეხზე იდგა, წინ ახალგაზრდა გოგონას ხელში დრობა ეჭირა, ქარი დროშის კალთებს და იმ გოგონას თმებს აფრიალებდა, მანქანის ზრიალს გარმონის ხმა უერთდებოდა, ხოლო ერთი ბიჭი ძარაში ლეკურსა ცეკვავდა.

მელანო გაშტერებული შესცქეროდა ამ სანახაობას. მას ბევრი, ძალიან ბევრი რამ უნახავს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე: ერთხელ, ოდესღაც, — მაშინ ახალგაზრდა ქალი იყო, — ხატობაში ვიღაც ბიჭმა გაეჭენებულ ცხენზე დადგომა სცადა. ეს კი პირველად დაინახა, რომ გაქანებულ მანქანაზე ლეკურსა ცეკვავდნენ.

— რა ვქნა, ვინ არიან, — წაიბუტბუტა ბოლოს მან. — ამ საქმიდღეს რა დროს დაირა და ფანდფურია!

ხალხის ყიეინა უფრო ძლიერდებოდა და მანქანის მოტორის თუთხუსსა ჰფარავდა. მანქანა ჩერდებოდა ყველგან, სადაც ხალხი მეშუამდა, რაღაც სიტყვებს გადასძახოდნენ, მინდორში მყოფნიც მეშუამეს თავს ანებებდნენ და მანქანაზე აღიოდნენ. შორიდან კარგად ხედავდა ამას მელანო.

მანქანა უკვე ახლოს იყო და ხმაც გარკვევით ისმოდა:

— ჰეი, ხალხნო, გამოდით, უქმეა! დღეასწაულია!

— ნეტავი შენს გახარებას, რა ამბავია შვილო? — შეეძახა მელანო.

— მომილოცნია ბები, — გადასძახა მას მანქანიდან იმ გოგონამ, რომელსაც დროშის ტარი ეჭირა, — მომილოცნია...

ბებერმა აღარ იკითხა რას ულოცავდნენ; ის უკვე მიხვდა, ან კი რას არ მიხვდებოდა — თითქმის ოთხი წელიწადი ელოდა ამ წუთს, ათას დღე და ღამეზე მეტია, რაც შვილიშვილების მოლოდინში იყო. სადღაც, შორს, ძალიან შორს იყვნენ ისინი წასულნი. ფიქრშიც კი ვერა სწვდებოდა მელანო იმ უცნობ ქვეყანას, რომელსაც ფრონტი ერქვა; ელოდა ამ საათს, ფიქრობდა, ნატრობდა, იცოდა რომ ეს წუთი მოვიდოდა.

და აი ეს წუთიც მოსულა. მოხუცი მიუჩრუნდა მეზობლებს და უთხრა:

— წავიდეთ, ხალხნო, ომი გათავებულა, გამარჯვება მოსულა!

სამხრობის ქალს მინდორში არც ერთი კაცი აღარ იყო, რომ გამარჯვების ამბავი არა სცოდნოდა. საღამოს კი ლხინი იყო სოფელში, ისეთი ლხინი, რომ იმისი აღწერა მართლაც ძალიან ძნელია.

არც შევეცდები, სად შემიძლია!

* * *

ცხრა მაისს ყველამ იცოდა ეს ამბავი ჩვენს სოფელში. ვანო მეგუთნიშვილძა

კი, — აი შარშან რომ დაბრუნდა ფრონ-ტიდან მარცხენა ხელდაკრაგული — თვრა-მეტ მაისსაც არაფერი იკოდა.

ან კი საიდან ეცოდინებოდა: ცალხელა ვაჟაცი სოფელში არ იყო, შორს იყო, ენა-მთაში. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ კოლმეურნეობამ მშრალი ძროხის მოსაყ-ლელად ენა-მთაში გაგზავნა. ახლა ორნი იყვნენ მწყემსებად ენა-მთაში: ის და მო-ხუცი მიხა, რომელსაც ახალგაზრდობიდან სოფელში „თეთრ მიხას" ეძახოდნენ — ქერა წვერ-ულვაშის გამო. მიხა და ვანო გულითადი მეგობრები იყვნენ. ვანო ფრონ-ტისა, ბრძოლის ამბებს უამბობდა მოხუცს, გაზეთებს უკითხავდა. მათთან სოფლიდან ათ დღეში ერთხელ ადიოდნენ და მთელი ათი დღის საგზალს აუტანდნენ, გაზეთებს გაიყოლებდნენ. მაშინ გაძღებოდა ხოლმე ვანო ქვეყნის ამბებით, პირველად საინ-ფორმაციო ბიუროს ცნობებს ეცამოდა და სულმოუთქმელად წაიკითხავდა.

უკანასკნელად რვა მაისს აუტანეს სურ-სათი.

აი ათი დღეც მიიწურა. საღამომ მოაწია. მზე ენა-მთის კალთას ამოეფარა და უზარ-მაზარი, ძალზე გრძელი ჩრდილი გადაიფინა გაშლილ მინდორზე, რომელიც სწორედ მთის ძირში იწყებოდა. ეს ჩრდილი საღღაც შორს, ალაზნის ველამდე გაფენილიყო და იქა წყდებოდა. იმას იქით, ნახევარ მინ-დორზე ისევ მზისთვალი იდგა, მაგრამ ჩრდილი ნელ-ნელა მიიწევდა წინ, ჰფარავ-და მინდორს, მერე ალაზნის ჭალას მიაღ-წია, მზით განათებული კენწეროები ხშირი ტყისა ჩაანცვლა და ბოლოს კავკასიონის მწვერვალებიც შუქად შეაფერადა.

ის-იები მწყემსების ბინის ახლოს ცხენის ფეხსისმაც მოისმა. ვანომ გაიხედა: კოლმე-ურნეობის ბრიგადირის სურსათი მოჰქონდა.

ცხენს ტვირთი ჩამოჰხადეს, ხურჯინი-დან, ჩვეულებრივ საგზალს გარდა, ტიკ-ჭორებმაც ამოჰყვეს თავი: მწყემსებმა ჯერ გაიოცეს, იცოდნენ დღესასწაული არ იყო, მაგ რატომ გამოუგზავნიათ მარნიდან ღვი-ნო? ამას ვერ მიმხვდარიყვნენ. ბრიგადი-რიც ემბაკურად იღიმებოდა და ჯერ არა-ფერს ამბობდა.

— ახალი ამბები რა ამოიტანე, ფრონტი-სა რა ისმის? — ჰკითხა ვანომ ბრიგადირს.

— ფრონტისა? ფრონტი სადღაა?

— როგორ თუ სადღაა? — გაიოცა ვა-ნომ.

ბრიგადირმა ხელი მოჰხვია და მხიარუ-ლად დაიძახა:

— ახლა ფრონტი აღარ არის, ახლა ყველგან ზურგია. გაიგე? ყველგან [illegible] — რას ამბობს ეს კაცი! [illegible] ბობ? გაზეთი არ ამოიტანე?

— აი მარტო გუშინდელი გაზეთი ამო-ვიტანე, — უთხრა ბრიგადირმა და ოთხად დაკეცილი „კომფონსტი" მიაწოდა, ვანომ გაშალა გაზეთი და ჭრაქის შუქზე დაჰხედა. საინფორმაციო ბიუროს ცნობას ეძებდა და ეს ცნობა აღარსად იყო. ჭრაქს პატრუქი ამოეწია, იწნეხა ვერა ვხედავო.

— ბიჭო, ეს ძველი გაზეთი ხომ არ წა-მოიღე, — დაიძახა ვანომ, რომელიც უკვე ყველაფერს მიმხვდარი იყო.

— ბელადმა გამარჯვების ბრძანება ვა-მოაქვეყნა, სიტყვაც წარმოსთქვა, — უთხრა ბრიგადირმა.

— რატომ არ წამოიღე ის გაზეთი, არ გახსოვს ის სიტყვა? მითხარი, მიამბე.

— როგორ არ მახსოვს. ყველას გვილო-ცავდა ბელადი: „მოგილოცავთ გამარჯვე-ბას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო".

— ახ, ნეტავ ის გაზეთი წამოგეღო, — ისევ ინატრა ვანომ.

* * *

შუაღამე გადასული იყო. ენა-მთაზე მწყემსებსა და ბრიგადირს ჯერაც არ ეძი-ნათ. ცეცხლის ირგვლივ ისხდნენ სამივენი. მოხუცს მოეხლთან ტიკჭორა წამოეწვინა და დროდადრო ჰიქებს ავსებდა. დიდხანს უყ-ვებოდა ვანო მათ ბრძოლის ამბებს. მეგო-ბრებს იხსენიებდა, იმ მორეულ ქალაქებსა და სოფლებს, სადაც თვითონ იბრძოდა.

გაზაფხულის ღამის გრილ ნიავს ველური ყვავილების სურნელება მოჰქონდა, ახლოს ტყე შრიალებდა იდუმალად, სადღაც ფრინ-ველმა წამოიფრთხიალა, ტყვიასავით გაი-ზზეცალა ჰაერში და ისევ ხშირ ბუჩქებში ჩაეშვა.

— ნეტავ ახლა ის ადგილები მიჩვენა, — განაგრძობდა ვანო. — ერთი პატარა ტყე მახსოვს უკრანაში: ხე აღარ იყო, რომ ტყვია არ მოხვედროდა. მტკავლი მიწა აღარ იყო, რომ სისხლს ზედ არ ეწვიმნა. იმ ტყეში რომ გავიარე, მაშინ ვიფიქრე: შვიდ წელს აღარ მოვა აქ ბალახი, და თუ ამოვა — სისხლისფერი ამოჰყვება ფო-თოლსა და ყვავილს მეთქი. ნეტავ ახლა როგორია ილეთრობა?

— ახლა?. — წარმოსთქვა ბრიგადირმა.— ახლა იქაც გაზაფხულია. იქაც ლენინია!

— ჰო, — წარმოსთქვა ვანომ და ფიქრში წავიდა, ცოტა ხანს შემდეგ კვლავ აიხედა და განაგრძო — ბიჭები ახლა, ვინც კი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩნენ, ყველანი ლხინობენ. იცით, პირობა გვქონდა: ვინც ამ დღეს მოვესწროთ, ერთიმეორის სახელები მოვიხსენოთ; იმათი სახელები გახსენოთ, ვინც სამშობლოსათვის დაიღუპა. იმათი ხსენება იყოს

უკვდავი! — სთქვა ვანომ და უკანასკნელ ჭიქა ასწია.

სადღაც შორს, კავკასიონის მწვერვალებს რიჟრაჟის პირველი შუქი მოხვედროდა, გათენება ახლოს იყო.

ხარიზონ ვარდოშვილი

იხარე გმირის დედაო!

გმირის დედაო, დღეს ზეცამ
მენთვის სიამე ინება.
წამოდი, ნახე მინდვრებზე
ყვავილთა ალბინება;
დამარცხდა მტერი, გათავდა
სისხლისღვრა, ცრემლის დინება.

იხარე დედავ, იხარე,
ქარს გაატანე ნაღველი,
შენმა ნაშობმა ვაჟკაცმა
გაგიცისკროვნა სახელი.
იგი გმირია — სიკვდილის
მძლეველი, გადამლახველი.

დღეს უფრო გშვენის მახლილი
ნამუსიანი დედისა,
დაგიამდება იარა,
ჭრილობა მძიმე სევდისა,
დაგიბრუნდება ვაჟკაცი
ჯავარი შენი ბედისა.

აწ შენს ლოყას და წამწამებს
ცრემლი არ დაეკიდება,
შენთან იქნება იმედი
შენი მზე, შენი დიდება,
ნამტირალევი თვალები
სიცოცხლით გაგიბრწყინდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღიო მაშაშვილი

დაბრუნება თეთრ სოფელში

თეთრი სოფლის თეთრ შარაზე
აფშარების კაშკაშით—
რაშებს მოათამაშებდა
ორი ქოხტა მაჭაცი.

გაქუბს თეთრი ჩოხა ეცვათ—
სათნო შესახედავი,
რაშებს სიხსლის დალი აჩნდათ,
სად ყოფილან ნეტავი?

ჩანს, რომ ბრძოლის მელჯად იყვნენ,—
გაანვლეს ჭეშ მეწამული,
მტერს ეკვეთნენ გაქაცურად,
ასახელეს მამული.

მკვლელი ძმები უნდა იყვნენ
ახლო-მახლო-ოვლიდან,
მკერდი დაუშვენებიათ
მარსკვლავების ხოვლითა.

სოფელს თეთრად მოჰფენოდა
ნისლი საღამოისა,
ერთმა ყელი მოიღერა,
წამოიწყო „ვოისა“.

ლუღუნდნენ, შეხმატკბილდნენ
ოთვალჭოროა მაუნები,
სამეზერ თოფი გაისროლეს,
გაეკრელეს რაშები.

გადიარეს თეთრი ხიდ
ბავშვთა ჟივილ-ხივილით,
თვალი მოჰკრეს გოგონებმა,
გაეყოლეს ლიმილი.

გაოცებულდა არეპარი,
ფეხზე დადგა სოფელი,
ახმაურდნენ ნაგაზები,
გარგის მახარობელი.

სადღაც შედგნენ. ატრიალდა
ბიშკარი ჩასაეტყვი,
ვინ გული გაუხარეს,
ვის ესტეფრნენ ნეტავი?



ნახატი ს. მაისაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატი მ. დაუშვილისა

ანდრო თევზაძე

საყვარელი მაისი

მზე მოვიდა და ბელადის
სანატრელი ხმა გაისმა,
თითქოს მთები აიწია,
ყველაფერი ამაისდა.

ყვავილების ფერად დროშით
შემობრძანდა გაზაფხული;
შეიფოთლა მთა და ველი
ზამთრისაგან დაზაფრული.

გაზაფხული სხვაც გვინახავს
და ასეთი იყო განა?
ამ მაისმა, ამ ვარდებმა
გამარჯვება მოგვიტანა.

თავს დაგვნათის ცა კრიალა,
არსად არ სჩანს ღრუბლის ქულა
და აღლუმი პიონერთა
ქალაქს შვენის თაიგულად.

მზემ ზურმუხტის ფერი მისცა
მიწას სისხლით გადალესილს
და სამშობლოს სიხარული
წინაპრების ძვლებსაც ესმის.

გაზაფხული სხვაც გვინახავს
და ასეთი იყო განა?
ამ მაისმა, ამ ვარდებმა
გამარჯვება მოგვიტანა!

ღიღია მეგრელიძე

გიხარია, მამა დაგიბრუნდება

გოგოვ, გოგოვ,
თვალჟუჟუნა, პირმთვარივ,
მოციმციმდი,
მოდი, გაგოიდარე,
ეს ვარდები
თვალებში მოგაყარე,
ცრემლნათოვარს
გაზაფხული მახარე.
ცელქო, ტუჩზე
ყაყაჩო რომ გიელავს,
მამას ელი
გული მიტომ გიღელავს?

დახატული
ყვავილების ფერებით,
ყვავილებით
მამას მოეფერები.
დაფუსფუსებ,
სულ მზადებას უდები:
გიხარია
მამა დაგიბრუნდება.
ეს ვარდები
თვალებში მოგაყარე,
გამარჯვების
გაზაფხული მახარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექო შენგელია

ნახატები ვ. ბელიცკიისა

ქამის წერილი

როცა ბრძოლის ქარიშხალი
ცეცხლს უნთებდა შავბნელ ღამეს,
შვილო, ცრემლი რომ ეკიდა
შენს თვალებს და შენს წამწამებს...
როცა ჩვენი ნეტარება
შეშურდათ და ჩაგვიშხამეს,
თქვენთან ყოფნა და ალერსი
მოგვანატრეს თქვენს კარგ მამებს,
ნამაშენი სამშობლოსთვის
დავზოგავდი განა რამეს?
ჩემო კარგო, შენი სიტყვა,
ღიმილი და ტკბილი კოცნა,
მომყვებოდა ამ შორ გზაზე,
როგორც ხმალი, როგორც დროშა,
სამშობლოზე ოცნების დროს,
სამშობლოსთვის ბრძოლის დროსაც...
ახლა ჩვენი გაზაფხული,
სიხარულით შეიმოსა,
დიადი დღე გაგვითენდა
და ზეიმობს ხალხი როცა, —
გამეზარდე, გამახარე,
გამარჯვებას მოგილოცავ!

მურმან ლებანიძე

სიხარულის ცრემლები

უცებ სკოლის მოედანზე
სად იყო და სად არა—
ღოლი გაჩნდა და ლეკურის
ეშხი ჩამოატარა,
და დიდ წრეში შემოკურდა
გოგო-ბიჭი პატარა...
ტაში ბიჭო, ტაში გოგო,
ტაში ვარდ-ყვავილებო;
— ცხრა მაისის დარი გვიდგა
სევდას არ გავივლებთო...
მაგრამ თავი რად დახარე
თვალხატულა ირემო?
შედგა გოგო, ვით შემკრთალი
ნუკრი ხრამის ნაპირთან,
შესწყდა ბროლის ყელსაკიდი
წამწამების ძაფიდან.
შედგა გოგო, ძირს დაუშვა
მკლავები და ატირდა.
მოსწყდა ტაში—წრე დაშლილი
მწარე ფიქრებს მოკონავს,
მიხედნენ: შარშან მამა ფრონტზე
დაეღუპა გოგონას,
ნუგეში სურთ და ნუგეში
როგორა სცენ, როგორა?...
როგორ უთხრან არ იტიროს:
რომ ცრემლი არ უხდება
გამარჯვების დღეს-ანთებულს
ლალად და ზურმუხტებად,
...უცებ სკოლის კედელს ბავშვთა
მზერა — განარინდები
შერჩა, ენთო ბრძენის შუბლი
ანთებული დიდებით
მკერდს ეხვია ბავშვთა გუნდი
ვით სამოთხის ჩიტები
და ალერსად ოქროსფერ თმებს
შლიდა ბრძენის ოთხები.
შერცხვა... ჩუმად შეიმშრალა
დათრთვილული ღაწვები,
გაეღიმა სევდიანი ღიმით
გულის დამწველით,
მიხვდა, ობოლს მამაცა ჰყავს
და ათასი და-ძმებიც.
...ისევ ტაში და ფარფატი
სიხარულის პეპლების
პაწაწა მხრებს თოვლი ათოვთ
ნუშების და ტყემლების,
დგას გოგონა სევდისა და
სიხარულის ცრემლებით.

ვინც მახვილით მოვა, მახვილითვე დაიღუპება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნეთა მანძილზე დიდმა რუსმა ხალხმა არა ერთი გამანადგურებელი დარტყმა აგემა გერმანელებს.

პირველი ბრძოლა რუსებსა და გერმანელებს შორის მოხდა 1242 წელს, როდესაც მთავარმა ალექსანდრე ნეველმა ჩუდის ტბაზე სასტიკად დამარცხა გერმანელები ანუ ქოფაკი რაინდები (ასე უწოდა მათ კ. მარქსმა).

1410 წლის 15 ივლისს სოფელ ტანენბერგთან (აღმოსავლეთი პრუსია) გერმანელებმა კიდევ ერთი სასტიკი დამარცხება განიცადეს.

მე-18 საუკუნეში რუსეთის წინააღმდეგ გამოილაშქრა პრუსიელთა არმიამ, რომელიც იმ დროს პრუკლარსხოვან არმიად ითვლებოდა. 1756 წელს დაიწყო ომი რუსეთსა და პრუსიას შორის; იგი ცნობილია ისტორიაში შვიდწლიანი ომის სახელით. პირველი დიდი ბრძოლა მოხდა სოფელ გროს-ეგერსდორფთან, რომელიც რუსების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ შვიდწლიან ომში მონაწილეობას იღებდა ცნობილი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც სწერდა:

„ათას შვიდას ოცდაცხრამეტს
ხოთინის კარს ვიხლიშეთ კეტი,
ორმოცდორის ფინდრიღავანს
ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი,
და ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს
შეურყიეთ ტახტის სვეტი“.

შემდეგი დიდი დამარცხება პრუსიელებმა იგემეს კუნერსდორფთან (1759 წელს), სადაც 27 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 200 ზარბაზანი, 10 ათასი თოფი და 26 დროშა დაკარგეს. თვით პრუსიის მეფე ფრიდრიხ II თვალცრემლიანი გაიქცა ბრძოლის ველიდან და მხოლოდ შემთხვევით გადარჩა დატყვევებას. „მე უბედური ვარ, — სწერდა ფრიდრიხი თავის ძმას, — ჯარი თითქმის აღარა მყავს, არაფრის იმედი აღარა მაქვს, ყველაფერი დაკარგულია“.

შვიდწლიანი ომის მონაწილე პრუსიელი კაპიტანი არნენპოლკი პრუსიელებზე რუსების ამ გამარჯვების შესახებ სწერდა: „რუსებმა პრუსიელებს ისეთი ამბავი დამართეს, როგორიც მათ არასოდეს არ უნახავთ. ისინი მძიმედ იბრძოდნენ. მკვდრებს ცოცხლების რიგი სცელიდა. მათი მოკვლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე უკუქცევა“.

1760 წელს რუსების არმია გეზეგრად ჩერნიშევის მეთაურობით ბერლინს მიადგა და 9 ოქტომბერს ქალაქში შევიდა. ნადავლის სახით წმოდებულ იქნა ბერლინის ალაყაფის კარების გასაღები, რომელიც ინახება ლენინგრადის ისტორიულ მუზეუმში.

აღსანიშნავია, რომ შვიდწლიან ომში მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა ოფიცერი, შემდეგში დიდი მხედართმთავარი — ალექსანდერ სუვოროი.

მეორეჯერ რუსები ბერლინში შევიდნენ 1813 წელს, როდესაც სლეზიენდენ ნაპოლეონის არმიას.

რუსული იარაღის ძალა გერმანელებმა პირველ მსოფლიო ომშიც იგემეს. 1916 წელს გერმანელებმა დიდი შეტევა დაიწყეს ინგლის-საფრანგეთის არმიების წინააღმდეგ. ომის მსვლელობა მოითხოვდა რუსების ჩქარვიმას აღმოსავლეთიდან და აი, 22 მარტს დაიწყო გენერალ ბრუსილოვის ცნობილი შეტევა, რის შედეგადაც მოწინააღმდეგმ დაკარგა 9 ათასი ოფიცერი, 400 ათასი ჯარისკაცი, დიდძალი იარაღი და საჰუტრეული. ბრუსილოვის შეტევამ, რაც გერმანია—ავსტრიის ფრონტის გარღვევით დაგვრგვინდა, დიდი გავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე, მან დაიჩქარა გერმანიის დამარცხება.

1918 წელს გერმანელებმა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ გამოილაშქრეს, მაგრამ მათი შეტევა პეტროგრადისაკენ (ამჟამად ლენინგრადი) შეჩერებულ და შემდგ უკუგდებულ იქნა. „გერმანიის იმპერიალიზმის ჯარების უკუგდების დღე— 23 თებერვალი, — გახდა წითელი არმიის დაბადების დღე“ (საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსი).

ამავე წელს გერმანელები საბჭოთა უკრაინას შემოესივნენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ მთელი ხალხი აღსდგა. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ვოროშილოვის, ბუდიონის, შჩორსის, კიკვიძისა და სხვათა ჯარებმა გერმანელი ყაჩაღები განდევნეს საბჭოთა მიწა-წყლიდან.

1941 წლის 22 ივნისს ჩვენს ქვეყანას ვერაგულად, როგორც შარაგზის ავაზაკები, თავს დაესხნენ გერმანელი ფაშისტები, მაგრამ გმირმა წითელმა არმიამ ჩაშალა მათი ყოველგვარი გეგმები. მუხანათურ თავდასხმას ჩვენმა ხალხმა დიდი სამამულო ომით, სამართლიანი ომით უპასუხა, უმაღლეს მთავარსარდალ საბჭოთა კავშირის

მარშალ ი. სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

დადგა პროგრესული კაცობრიობის ბედნიერების ჟამი — ფაშისტთა მტარვალური არმია განადგურებულ იქნა. 1945 წლის 2 მაისს რუსები მესამეჯერ შევიდნენ ბერლინში. დაეცა ფაშისტური ურჩხული, რომლის შესახებ დიდი რუსი მწერალი მ. სალტიკოვ-შჩედრინი სწერდა: „ბერლინი სადა არაფრისათვის ისე საჭირო არ არის, როგორც კაცის კვლისათვისო“.

ერთხელ კიდევ გამართლდა დიდი მხედართმთავრის ალექსანდრე სუვოროვის სიტყვები: „რუსები პრუსიელებს მუდამ ამარცხებდნენ“.

ვინც მახვილით მოვა, მახვილითვე დაიღუპება. ასე იყო, ასე იქნება.

გიორგი ქუჩიშვილი

ნანატი მ. დაუშვილისა

პიონერის პირობა

ამი! ნეტავ
    დღეს ასე
    მეტად
        რად მენატრები
და ან ასე
    შერსავსედ
რად აქთნენ ატმები?
მივხვდი:
    შენი გმირობა
    დღეს ხომ
    ფოსტამ გვახარა!
მიგილია ჭრილობა,
    შეგპარვია ჭალარაც.
ჰოდა,
    მე მაგ ჭრილობას
ატმის ყვავილთ ვადარებ
    და მის სხივ-გავსილობას
ვარსკვლავივით ვატარებ.
გკოცნით ყველა!..
    გილოცავთ:
გადარჩენას,
    გმირობას!..
მეც სწავლით გასახელებ,
    გაძლევ მტკიცე პირობას!



ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲡᲐ

ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲟᲣᲙᲝᲕᲘ

როცა მამოლს—ჩვენს სამშობლოს
შემოაწვა ნისლი ბნელი,
წინ როდესაც მოიწევდა
მტერი მხეცი, საძულველი.
ბრძოლის სულით ანთებული
შენ ფოლადად იქეც მაშინ,
მტერს ეკვეთე, გადაეშვი
დიდი ომის ქარიშხალში.
მოსკოვთან და ლენინგრადთან
არ აბორგე მხეცი დიდხანს.
დაედევნე... და ბელადმა
შენ მადლობა ბევრჯერ გითხრა.
მზე ჩვენს ცაზე გამობრწყინდა,
ჩვენს მიწაზე ცრემლი მოშრა,
როს ბერლინში შეიტანე
გამარჯვების დიდი დროშა.
დღეს, როდესაც უხვად შუქი
ეფინება მინდორ-მდელოს,
ჩვენში ბავშვიც აღარ არის,
რომ ᲟᲣᲙᲝᲕᲖᲔ არ იმღეროს!

ᲜᲘᲝ. ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი ᲟᲣᲙᲝᲕᲘ.

ამბანაგ ᲟᲣᲙᲝᲕᲘᲡ სახელთან დაკავშირებულია მოსკოვის გმირული დაცვა, ლენინგრადის დაცვა, ჩვენი მეგობარი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის განთავისუფლება. ჩვენი ჯარები მარშალ ᲟᲣᲙᲝᲕᲘᲡ სარდლობით შეიჭრნენ ფაშისტურ ბუნაგში —ბერლინში და იქ გამარჯვების დროშა ააფრიალეს.

მე მინდა ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲗᲥᲕᲐ ჩვენი საბჭოთა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის სადღეგრძელო. (ᲪᲥᲣᲮᲐᲠᲘ, ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ტაში, შეძახილები, „ᲕᲐᲨᲐ“).

მე, უწინარეს ყოვლისა, ᲪᲘᲪᲐᲛᲐ რუსი ხალხის სადღეგრძელოს იმიტომ, რომ იგი არის ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲨᲠᲝ გამოჩენილი ერი ᲧᲕᲔᲚᲐ ერთა შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან.

მე ᲕᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ რუს ხალხს იმიტომ, რომ ამ ომში მან დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალისა ჩვენი ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ხალხთა შორის.

მე ᲕᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ რუს ხალხს არა მარტო იმიტომ, რომ იგი არის ხელმძღვანელი ხალხი, არამედ იმიტომაც, რომ მას აქვს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება.

ამბანაგ **ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** მიერ წარმოთქმული სიტყვიდან წითელი არმიის ჯარების სარდალთა პატივსაცემად კრემლში გამართულ მიღებისას.

და მის მხედართუფროსებს!

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი **კონევი.**

უკრაინაში წარმოებული ბრძოლების გმირი—პრაღის განმათავისუფლებელი, მხედართუფროსი, რომლის ჯარებიც მარშალ ჟუკოვის ჯარებთან ერთად შეიჭრნენ ბერლინში.

„ყველაზე საშინელი რამ ჩემი ბრძოლებიდან ეს იყო ბრძოლა მოსკოვთან (ბოროდინოზე). ამ ბრძოლაში რუსები ღირსნი გახდნენ უძლეველის სახელისა...“

„რა გამბედაობაა, რა სიმტკიცე! რა ხალხია! რა ხალხი!“

ნაპოლეონი

* * *

„მე დიდხანს ვიყავი სპარსეთში სახელოვან ნადირ-შაჰთან, მინახავს სპარსეთის, ინდოეთისა და თურქეთის ჯარები, ებრძოდა ლეკებს, მაგრამ რუსეთის ჯარი რომ დავინახე, ვერ წარმომიდგენია, რომ მსოფლიოში რომელიმე ჯარი შეედრებოდეს თავისი სიმამაცით რუსების ჯარს“.

მეფე ერეკლე II

(წერილიდან მეუღლე დარეჯანისადმი).

ჩვენი მხედართუფროსები პიონერებს!

ძვირფასო ბავშვებო! გისურვებთ თქვენ, ბავშვთა დიდ კოლექტივს, რომელთა მამეპიც მამაცურად იბრძვიან ფრონტზე ჩვენი სამშობლოს დასაცავად, ჯანმრთელობას, წარმატებას სწავლასა და თქვენს ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს წერილიდან გორლოვის ამხ. ჟუკოვის სახელობის საბავშვო სახლის აღსაზრდელებისადმი.

ძვირფასო ბავშვებო! ისწავლეთ უკეთესად, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამხედრო წრეების მუშაობაში, ყოველდღიურად გამოიმუშავეთ საბჭოთა პატრიოტებს, წითელი არმიის მომავალ მეომართა თვისებები.

საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის საახალწლო მისალმებიდან პიონერებისადმი.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი **როკოსოვსკი.**

გმირი სტალინგრადის ბრძოლისა, რომელიც იყო ისტორიული შემობრუნება ახლანდელ ომში, მხედართუფროსი, რომელიც ხელმძღვანელობდა ოპერაციებს ბელორუსიაში, რომელმაც გერმანელები ბოლოდ-ვენა დანციგიდან და შტეტინიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. სიხარულიძე

მოწინავე ხაზზე

(ნამდვილი ამბავი *)

ეს იყო 1944 წლის თებერვლის სუსხიან დღეებში.

ბრძოლები მიმდინარეობდა უკრაინის ერთ-ერთი ქალაქის დასავლეთით.

თოვდა და სუსხიანი ქარი ჰქროდა.

შუადღისას ცა მოიწმინდა, წუთით მზემაც გამოანათა, მაგრამ ისევ მიიმალა... ქარი კიდევ მეტი გაეფთრებინი ზუზუნებდა და შორს, ცის დასალიერს ნაბდის ნაგლეჯებივით ჩამოკიდებულ ღრუბლებს ჩეხსკენ მოერეკებოდა.

— აი, კიდევ გამოჩნდა პატარა ბიჭი!— ჩაილაპარაკეს ჩვენს სანგარში. თვალი გავაყოლეთ ფრონტის ხაზს და მართლაც შევნიშნეთ იგი. ერთი კილომეტრი თუ ვვამორებდა გერმანელების მოწინავე სანგრებისაგან. ზოგან მანძილი ნაკლებიც იქნებოდა. გარკვევით მოსჩანდა ყველფერი. ბინოკლით გერმანელი ჯარისკაცების ქვაბუნებსა და შაშხანის წვერებსაც ვამჩნევდით.

სერიოზული ბრძოლების მოლოდინში ვიყავით.

მტერი ცდილობდა დაბრუნებია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც ჩვენმა ნაწილებმა მოულოდნელი შტურმით წაართვეს მას რამდენიმე დღის წინ. არც ერთი ნაბიჯი უკან, სამარე გაუთხაროთ მტერს აქ!

ასეთი იყო ჩვენი ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

ძოანლოებულ საფრთხესთან დაკავშირებით დამხმარე ნაწილები მივიღეთ და ერთი-ორად გავაძლიერეთ მოწინავე ხაზების დაცვა.

ჩვენი და გერმანელების სანგრები ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში უცქერდნენ ერთმანეთს პირისპირ ერთსა და იმავე ადგილებიდან. ამ ხნის განმავლობაში შეუნიშნავი არ დაგვრჩენია არც პატარა ბიჭი, რომელიც თითქმის ყოველდღე მიდიოდა გერმანელების სანგრებთან და ან სანგრებში ჩაიმალებოდა ან თამაშობდა მინდორში, ამჯერად იგი ქვეს ისროდა შურიღლით სანგრიდან სანგარში და თანდათან მოიწევდა წინ. ბოლოს იგი ხტუნვით წამოვიდა ჩვენსკენ და ქვები დაგვიშინა.

ჩვენ პირველად ყურადღება არ მიგვექცევია მისთვის, მაგრამ როცა იგი ისე ახლოს მოვიდა, რომ მისგან გამოსროლილი ქვები თითქმის აღწევდა ჩვენი თავდაცვის წინაკიდემდე, მრავალი თვალი მიაცქერდა ძას.

— უცნაური ბიჭი!—სთქვა სანგრის ბრუსტვერზე შემდგარმა ძეტყვიამრფქვევე გრინკომ.—ერთიც ვნახოთ და ნაღმს წაძოედოს!.. გუშინ სწორედ მაგ ადგილებში ნაღმი ჩააწყეს ჩვენებმა.

— სულელია!

— შეიძლება საეჭვოც იყოს!

— ჯაშუშია!

გაგონებდით მრავალნაირ ხმებს, მაგრამ სიმრალული სჯარბობდა მათში. ყველა შეშფოთებული იყო ბავშვის მოსალოდნელი დაღუპვის გამო.

მალე შეეამჩნიეთ, რომ ბიჭი ზოგჯერ ცარიელ ქვებს არ ისროდა. ერთ ქვას ქაღალდი მოჰყვა თან. იგი ასიოდე მეტრზე დაეკარდა სანგართან და მეტყვიამფრქვევე გრინკომ ისაკუპა მისკენ, მაგრამ უმალ წამოეწია მეთაურის ბრძანება.

— დაბრუნდით ადგილზე,—შეიძლება ონს გვიწყობენ!

მეთაურმა თავისი ქუდი შაშხანის ხიშტის საშუალებით ბრუსტვერზე შედგა. იგი არ შემცდარა. მართლაც მოისმა რამდენიმე გასროლის ხმა. მისი ქუდი ორ ადგილას იყო ტყვიით გახვრეტილი.

— ხედავთ? სამიზნოებს ეძებენ ვაკბატონები, თავი არ წამოჰყოთ სანგრებიდან, — ბრძანა მეთაურმა.

ბიჭი მეტად ადარ წამოსულა წინ, მაგრამ იგი წინანდებურად ისროდა ქაღალდში შეხვეულ ქვებს. ერთი ქვა ისე მაგრად მოიქნია, რომ ბიჭი წაიქცა. ქვა წინანდელზე ახლოს დაეცა ჩვენთან.

შემდეგ იგი უკან გაბრუნდა და თავისი „იარაღით“ ქვა დაუშინა ალუბლების ტოტებზე შემსხდარ ჩიტებს. ასე თამაშით გადაიარა მან სამუალედო მინდორი ჩვენსა და გერმანელებს შორის, გაიარა გერმანელების სანგრების შუაზე და მალე თვალს მიეფარა.

შეღამებისას გრინკომ შეკრიბა ქაღალდშემოხვეული ქვები და სანგარში მოიტანა. ისინი სულ ოთხი იყო. სამზე საგულდაგულოდ იყო მიკრული ქაღალდები. ეტყობოდა ისინი სახლში იყო დამზადებული.

პირველ ქაღალდზე უკრაინულად ეწერა: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, სიკვდილი კაციჭამია ჰიტლერს!“

*) ავტორი სამამულო ომის მონაწილეა

მეორეზე: „ამხანაგებო, თქვენ მოუთმენლად გელოდებიან ჩვენს სოფელში“.

მესამეზე: „ხვალ პირველად ამ სახლართან მოვალ, ესროლეთ ამ სახლარს. მინდა ჯაერი ვიყარო არამზადებზე“.

მეოთხე ქაღალდი იმ უბნის ადგილმდებარეობის რუკა აღმოჩნდა. მას წაოწერები გერმანულად ჰქონდა გაკეთებული და ძრაველი გადახახაზი, ზიგზაგი, ისრები და ხელით მიხაწერი ამტკიცებდა, რომ მასზე ბევრი ემუშავათ.

— აი, ყოჩაღ, ეს კარგი რამ უნდა იყოს! —სთქვა მეთაურმა და პოლიტდარგში ოადგილესა და ძტაბის უფროსს დაუძახა. დიდხანს ატრიალეს მათ ხელში რუკა და ბოლოს ერთხმად სთქვეს:

— იქ, იქ უკეთ გაიგებენ! და რუკა მაშინვე ნაწილის ტაბში გაგზავნეს.

* * *

მეორე დღეს ამინდი გაუარესდა, დილით სეტყვამ წამოგვიშინა, ხოლო შემდეგ საშინელი ქარბუქი დაიწყო. ისე გაგრძელდა თითქმის სამხრობამდე. შემდეგ გაუჯობესდა ამინდი, ქარი ჩადგა. მოწმენდილ ციდან სითბოდაკარგულმა მზის სხივებმა ოვალებში შემოგვანათა და ოქროსფრად აციმციმა ფიფქი თოვლი.

ეს დრო ყოველთვის სახიფათოდ ითვლებოდა ფრონტზე. მტერი სარგებლობდა ამ შემთხვევებით და ჩამავალი მზის სხივებს ხშირად გამოაყოლებდა თვითმფრინავებს ჩვენი განლაგების დასაბომბავად. მტრის მსროლელებიც დაგეშილი ელოდნენ ამ დროს.

ჩვენი მეთაური წამოდგა და ბინოკლმომარჯვებულმა გერმანელების სანგრები ჩათვალიერა. მას მოთმინება არ ყოფნდა. სჯეროდა უცნობი ბიჭის და ეშინოდა დრო ხელიდან არ გაპარვოდა.

— კიდევ ნახევარი საათი და სრულიად ველარაფერს დავინახავთ!

სთქვა მან უძაყოფილოდ და დაჯდა თავის ადგილას, მაგრამ...

— ბიჭი!—დაიძახა მოთვალთვალემ.

— ბიჭი!—ისე ხმამაღლა შეჰკვირა გრინკომ, რომ მეზობელ სანგრებშიც გაიგონეს მისი ხმა.

დიახ ისევ გამოჩნდა იგი, მკვირცხლი პატარა ბიჭი. იგი ისროდა ქვებსა და თოვლის გუნდებს. სანგრიდან, რომლის წინაც იგი იმყოფებოდა, ბოლქვებად ამოდიოდა შავი კვამლი და ჰაერში იფანტებოდა.

— მოამზადეთ ნაღმსატყორცნები! — ბრძანა მეთაურმა და ტელეფონით გადასცა სახელდახელოდ შედგენილი მოცემულობანი.

— მარცხენა ძელმიწურს... კუთხსაზომი... თარაზო... კორა...

შემდეგ შეჩერდა და თვალი გააყოლა ბიჭს, როცა ეს უკანასკნელი საკმაოდ გასცილდა პირველ სანგარს, ბრძანება გასცა:

— ცეცხლ!

ნაღმსატყორცნებმა იგრიალეს. მანძილი სწორად იყო გაანგარიშებული, ხოლო აპირო დარჩა კუთხსაზომის ცოტათი გადა-



წვა მარცხნივ. ამის შემდეგ მეთაურმა ორჯერ გადასცა:

— ოთხი ყუმბარით!—და ამით დამთავრდა ყოველივე. გერმანელთა სანგრის ადგილას მიწის შავი შადრევნები აღიმართა. ბინოკლით მოსჩანდა უწესრიგოდ ახერგილი ძელები და ფიცრები.

ჰაერში კვამლის ბოლქვის უკანასკნელი გირგალი ჰქრებოდა.

* * *

გერმანელების მოსალოდნელი კონტრიერიში არ განხორციელდა. მტერმა ვერ გაბედა ჩვენი სიმაგრეების გადმოლახვა. სამაგიეროდ ჩვენმა ნაწილებმა შეტევაზე გადასვლის ბრძანება მიიღეს და ბრძოლით შეგვდით სოფელში. განთავისუფლებული სოფლის მოსახლეობა სიხარულით შემოგვგებება.

ჩვენი ნაწილის მეთაური პოდპოლკოვნიკი ლეონიდ გაჭარდა ბავშვებისაკენ, რომლებიც გუნდებად და ყოველნაირი მოდიოდნენ ჩვენსაკენ. იგი ლელავდა სიხარულისაგან და სიტყვებს ნაწყვეტებად ამბობდა...

— ბავშვებო!.. მითხარით, ვინ იყო თქვენს შორის ის მამაცი, რომელიც ჩვენ ქვებს გვესროდა... აი იქიდან? ძან ხელ გაიშვირა იმ მინდვრისაკენ, სადაც ჩვენ თეის ცხობილი ამბავი მოხდა.

— ნუ თუ თქვენს შორის აღარ არის?.. ალბათ, დაიღუპა!—სთქვა პოდპოლკოვნიკმა და წინ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

— ის მე ვიყავი!—მოისმა ერთი ხმა. მისი წარმომთქმელი ყველაზე უკან იდგა და ვერ მოეხერხებია გაერღვია ბავშვების რკალი და პოდპოლკოვნიკთან ახლოს მისულიყო.

— ის მე ვიყავი!—გაიმეორა მან და მთელი ძალით მოაწვა რკალს.—აი ჩემი შურდული, ამით ვისროდი მე ქვებს.

პოდპოლკოვნიკმა მისწი-მოსწია ბავშვები და ალერსით დაადო ხელი მამაც ბავშვს. —აი ეს არის იგი, ანიშნა მან იქ შეკრებილ ოფიცრებს და თვალებში ჩააცქერდა ბავშვს.

— აი, ყოჩაღ! იცი შენ რა დიდი საქმე გააკეთე?

ბავშვს სახე აელანძა სიხარულისაგან. იგი მორცხად ეკვროდა პოდპოლკოვნიკს მაზარის ყალთებზე და ვერ მოეხერხებია რა ეპასუხა მისთვის.

— მადლობელი ვარ ძია, — სთქვა მან ბოლოს,—თხოვნა რომ შემისრულეთ, დედა კინაღამ მომიკლეს ცემით, მაგრამ მათი ჯავრიც ვიყარე...

პოდპოლკოვნიკმა გულში ჩაიკრა მამაცი ბავშვი და ჰკითხა, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ის რეკა შურდულის ქვის, რომ გამოატანა...

— მაგრამ აქ არა, შტაბში წავიდეთ, დეე იქაც მოუსმინონ შენს საუბარს, შენი შურდულიც წამოიღე თან, მაგითაც ყოფილა შესაძლებელი ზიანი მიაყენო მტერს, და მერე როგორი ზიანი?

ისინი შტაბისაკენ გაეშურნენ.

* * *

ჩვენს წინაშე იდგა პიონერი მიტია კონოვალოვი.

მისი ტანისამოსი ნაფლეთებად იყო ქცეული და ძნელი გასაგები იყო თუ რა ქსოვილისაგან იყო შეკერილი თავდაპირველად. პალტო არ ეცვა. მის მაგიერობას ასრულებდა ჭუჭყისაგან ბაკვებული ტყავი, რომელსაც ჟა-ის ბერჩენდა ბეწვი.

თავზე ძველი ბუდიონური ქუდი ეხურა და ფეხზე ნახევრად შემოცვეთილი თექეჩები ეცვა.

ასეთი იყო იგი გარეგნულად, ღარიბი, მშობლიურ ზრუნვას მოკლებული, მაგრამ ამ გარეგნობაში იმალებოდა ნამდვილი საბჭოთა პატრიოტის გული. არასრულწლოვანი ბავშვი მოწიფული ვაქაცის სიდინჯით ლაპარაკობდა. მას იმდენი განეცადა და ენახა, რამდენსაც ბევრი მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ გამოცდის და ნახავს.

— მაგარი ყინვები რომ დადგა,—დაიწყო მიტიამ,—გერმანელები შუშის შეგროვებას შეუდგნენ, მოდიოდნენ სოფელში და გვართმევდნენ ავეჯს — მაგიდებს, სკამებს და სანგრებში ძიეზიდებოდნენ დასაწვავად. ჩვენს სკოლაში მერხები რომ გათავდა, კედლებს დაუწყეს მტვრევა. ჩვენც წაგვართვეს ერთადერთი საწოლი, ლეები და ორი ბალიში. დედაჩემმა წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ცემისაგან სულ დაულურჯეს გვერდები. მეც გამკრეს წკიპურტი, მაგრამ არ შევიმჩნიე და მაინც დავუახლოვდი მათ.

— კლაინე რუსიზე შვაინ!—ეს სიტყვები გავიგონე მე გერმანელისაგან, როდესაც პირველად მივუახლოვდი მათ სანგარს. ამ სიტყვების მნიშვნელობა არ ვიცოდი მაშინ, მაგრამ რამდენჯერმე განმეორების შემდეგ დავიმახსოვრე და დედაჩემს ვთხოვე აეხსნა ჩემთვის მისი მნიშვნელობა — თავი დაანებე მაგათ, ღორს გეძახიანო, მითხრა დედამ, მაგრამ მე მაინც არ დავანებე თავი მათთან.

სიარულს. პირველად მიწყრებოდნენ, შემდეგ ისე შემეჩვივნენ, რომ წამოსვლისას მიბარებდნენ კიდეც, ხვალ ამა და ამ დროს მოდიო. საქმესაც შემოინახავდნენ ჩემთვის — სანგარს დამაგვეინებდნენ, ფეხსაცმელებს გამაწმენდინებდნენ, ქვაბუნებით დამტვირთავდნენ და საბრეულოში გამგზავნიდნენ კერძის მოსატანად.

იმ დღეს ოფიცრის სანგარში კარტს თამაშობდნენ გაცხარებით. ჩემი მისვლა არ შეუტყვიათ. მე ცოტახანი დავყავი სანგრის წინ და შემდეგ მეზობელ სანგრისკენ წავედი. ჩვეულებრივად იქ მაძლევდნენ დავალებებს, მაგრამ გზაში წამომეწია სიტყვები „ივან, ივან აქ მოდიო“. მე შეჩვეული ვიყავი მათ ხასიათს—ყოველგვარ რუსულს ისინი „ივანს“ ეძახიან და მეც მოვიხედე

უკან. ერთი ოფიცერი ხელს მიქნევდა, აქ მოდიო. მივიჩნიენ. მან სანგარში ჩამიყვანა, ტალახში ამოვლებული მაზარა და ჩექმები მომცა გასაწმენდად და მიმითითა სანგრის ერთ კუთხეზე, სადაც უნდა მემუშავნა, თვითონ კი მოთამაშეებს მიუბრუნდა.

მე ჯერ ფეხზე მდგომმა დავიწყე მუშაობა, შემდეგ იქვე დაბალი სკამი გავათავისუფლე და დავჯექი. ის ქალალდიც ამ სკამზე იდო. მივხედი, რომ მცირემნიშვნელობის არ უნდა ყოფილიყო და ფრთხილად უბეში ჩავიდე. დანარჩენი ქალალდები კი თაროზე შევაწყე. გერმანელებს არაფერი გაუგიათ. ისინი გატაცებით თამაშობდნენ.

მაზარისა და ფეხსაცმელების გაწმენდა რომ დავამთავრე, მივედი მის პატრონთან და პური ვთხოვე. „დაიკარგე აქედან, შენ გაუმაძღარო ლორიოვ“,—მითხრა მან. მე თქვენსკენ წამოვედი. „აი ყორაღი ივან, რა გულადი ყოფილხარ, მესმოდა ზურგიდან. შეხედეთ ივანეს ქვეშს ესვრის თავისიანებსო“. ვამჩნევდი, რომ სანგრებიდან თოფებს გიშვერდნენ, მაგრამ მე მაინც წამოვედი თქვენსკენ.

მტიას ლაპარაკს სულგანაბული უსმენდნენ. როცა მან იმ დღის ამბის მოთხრობა დაამთავრა, მას შეეკითხენ მშობლების ვინაობის შესახებ.

მტიას მამა საკოლმეურნეო ელექტროსადგურის ტექნიკოსი იყო ომამდე. შემდეგ წითელარმიაში გაიწვიეს, დედა სპასავშვო ბაღში მუშაობდა აღმზრდელ-მასწავლებლად, მაგრამ გერმანელების მიერ სოფლის ოკუპაციის შემდეგ არ უმუშავია, ვინაიდან სპასავშვო ბაღი დაიკეტა და იქ რომელიღაც გერმანელი მოხელე დაბინავდა. გერმანელებმა სულერთიანად გაძარცვეს მათი ოჯახი. სოფლიდან გაქცევის წინ კიდევ შეიარეს იქ და წაიღეს, რაც ხელში მოხვდათ, დედას მეორედ სცემეს წინააღმდეგობის გაწევისათვის.

— შური უნდა ვიძიო გერმანელ დამპყრობლებზე. გთხოვთ მომიღოთ თქვენს ნაწილში! — დაასრულა პიონერმა მტია კონოვალოვმა თავისი ამბავი.

* * *

მეორე დღეს სარდლობამ მტია კონოვალოვი დაჯილდოდა წითელი ვარსკვლავის ორდენით და ჩარიცხა ჩვენს პოლკში. ბრძანება მის მიერ ჩადენილ მამაცობის შესახებ ეცნობა დივიზიის მთელს პირად შემადგენლობას.

ჩვენი პოლკის ბატალიონებს თვით პოლკის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ლვოვმა გააცნო მტია კონოვალოვი. იგი მებრძოლთა წყობილების წინ მარდად დააქროლადა თეთრ ცხენს, რომელზეც მტიაც შეოლესა და ისროდა ცეცხლოვან სიტყვებს, არასოლდს არ დამარცხდება ის ხალხი, ვისაც ასეთი შვილები ეზრდება. ბევრიანი გერმანელ ოკუპანტებს, გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას, ვაშა!..

— ვაშა! იტაცეს მეთაურის ხმა მებრძოლებმა და ჯარისკაცებმა. ერთმანეთს ეკვეთნენ. იგი რისხვად გაუგზავნეს ტანკს.

რამდენიმე კვირა მტიიამ იმ ბატალიონში გაატარა, რომელსაც მოუტანა მან ძვირფასი სარჩენი. იგი ძლიერ დაუახლოვდა მეტყვიამფრქვევე გრინკოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ძმიე ჭრილობის გამო ზურგში იქნა გაგზავნილი, მტია პოლკის მზვერავთა ოცეულში გადაიყვანეს. არავინ სთხოვდა მას ძმიე დავალებების შესრულებას, მაგრამ იგი მაინც მიჰყვებოდა მზვერავებს და თავის ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა. ერთხელ ის უკან არ მოჰყოლია მზვერავებს. მტია მათ გზაში ჩამოსცილებოდა და შემდეგ ვეღარ ენახათ ის. პოლკის მეთაური ძლიერ ჩაფიქრა ამ მდგომარეობამ.

— რატომ გაუშვი? — წყრომით ჰკითხა მან მზვერავთა ოცეულის მეთაურს. — ხომ გაგაფრთხილე, არსად გაუშვა მეთქი?

მზვერავთა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი გინაატულინი თავს იმართლებდა — მე არ გამიგზავნია, უნებართვოდ წავიდაო, მაგრამ პოლკის მეთაური მაინც არ სცხრებოდა.

— დიეზიის მეთაური ყოველი შეხვედრის დროს მეკითხებოდა, როგორა გყავს კონოვალოვიო და ჩვენ მისი მოვლა ვერ მოვახერხეთ! — საყვედურობდა პოლკის მეთაური.

ამასობაში კარები გაიღო და მტიამ შემოჰყო თავი, იგი მხედრულად მიესალმა პოლკის მეთაურს და ერთი წიგნი და სავლე ჩანთა დაუდო წინ.

— სად იყავი? — ჰკითხა პოლკის მეთაურმა.

— მეზობელ სოფელში მამიდა მყავს და მასთან წავედი. ესენიც იქ მოვიპარე, იქ რაღაც შტაბი ჰქონებიათ გერმანელებს! — უპასუხა მტიიამ.

პოლკის მეთაურმა ჯერ წიგნი გადაშალა. იგი აღმოჩნდა ჩვენს პირდაპირ მდგომი გერმანელების ერთ-ერთი ასეულის საჯარიმო ჟურნალი. ჩანთაში კი აღმოჩნდა ფრონტზე მოსული და ჯერ ჯარისკაცებისათვის დაურიგებელი წერილები. როგორც ჟურნალს ისე ამ წერილებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სარდლობისათვის. პირველი ნათლად ლაპარაკობდა ფრონტზე მყოფი მოწინააღმდეგის ჯარისკაცების დაცემულ პოლიტიკურ-მორალურ განწყობი-

ლებაზე და მეორე — თუ როგორ ინგრეოდა ფაშისტური არმიის ზურგი.

ამჯერადაც მიტია კონოვალოვის მამაცობასა და მოხერხებას მაღალი შეფასება მიეცა და იგი დაჯილდოებულ იქნა მედლით „მამაცობისათვის“.

* * *

მიტიამ რამდენიმე თვე გაატარა ჩვენს პოლკში. იგი ყველას შეუყვარდა, მებრძოლებს სიხარულს ჰგვრიდა მისი გამოჩენა. მაგრამ მოახლოდა განშორების ჟამიც. ერთხელ ის პოლკის მეთაურმა დაიბარა და ასეთი საუბარი გაუმართა:

— მე ვიცი, შენ კიდევ გინდა იყო ჩვენთან და შური იძიო გერმანელებზე, მაგრამ უკვე დროა შენ თავზედაც იფიქრო. შენ უნდა ისწავლო და როცა სამხედრო საქმეს კარგად დაეუფლები, სამშობლოს უფრო მეტად გამოადგები! პოლკის მეთაურმა მიტიას უჩვენა დედის მიერ გამოგზავნილი წერილი. დედა იწერებოდა, რომ მასთან ახლოს გაიხსნა სუვოროვული სასწავლებელი და ითხოვდა, რათა მიტიაც ამ სასწავლებელში გაეგზავნათ.

მიტიამ ხარბად ჩაიკითხა დედის წერილი, დაუჯერა პოლკის მეთაურის რჩევას და გაემგზავრა თავის რაიონში.

აქამდე მიტია კონოვალოვი სუვოროვულ სასწავლებელში სწავლობს, მაგრამ მას კავშირი არ გაუწყვეტია თავისი პოლკის ამხანაგებთან. მას მიმოწერა აქვს მათთან. ან კი, როგორ შეუძლია მას დაივიწყოს თავისი მშობლიური პოლკი, რომელთანაც ერის დაკავშირებული მისი პირველი საბრძოლო ნათლობა.

სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენა საქართველოს სამხატვრო გალერიაში. „პიონერები აცნობებენ წითელარმიელებს დივერსანტთა ადგილსამყოფელს“.

ნახატი ზ. მეტრეველისა

ეკგენი ნეღაძე

რადიო

ასი წლის წინათ, 1844 წელს, კაცობრიობამ მიიღო კავშირგაბმულობის ახალი საშუალება — ტელეგრაფი, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს კი — კავშირგაბმულობის კიდევ უფრო შესანიშნავი საშუალება — უსადენოდ ტელეგრაფი — რადიო.

ეს საშუალება კაცობრიობას შესძინა გენიალურმა რუსმა მეცნიერმა — გამომგონებელმა ალექსანდრე სტეფანეს-ძე პოპოვმა.

პოპოვი დაიბადა 1859 წლის 16 მარტს, სოფელ ტურინსკეე რუდნიკში (ჩრდილო ურალი). მას ბავშვობიდანვე იტაცებდა ტექნიკა. მთელს დღეებს ატარებდა ის ქარხნებში, სადაც ყველას აოცებდა თავისი ცნობისმოყვარეობით, საზრიანობით. 1877 წლის შემოდგომაზე იგი შეეგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე.

1883 წელს პოპოვი მეშაობას იწყებს კრონშტადტის სანაღმო სკოლაში. ამ დროიდან თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე პოპოვი მზრუნველობით ზრდიდა ელექტროტექნიკოსთა ნაციონალურ კადრებს, ამადლებდა და ამრავლებდა რუსეთის მეცნიერების სახელსა და დიდებას. ამ გამოგონა მან რადიო — კაცობრიობის კულტურის შესანიშნავი მონაპოვარი.

კავშირგაბმულობის ახალი საშუალების — უსადენოო ტელეგრაფის ანუ რადიოს დაბადების დღეა 1895 წლის 7 მაისი. ამ დღეს პოპოვმა რუსეთის ფიზიკურ-ქიმიური საზოგადოების ფიზიკური გახყოფილების სხდომაზე გააკეთა მოხსენება თავისი გამოგონების შესახებ და საჯაროდ უჩვენა მის მიერ გამოგონებული მსოფლიოში პირველი რადიომიმღები. პირველი „რადიოიაგნალები“, რომლებიც ამ აპარატით მიიღეს — ეს იყო ჭექა-ქუხილი.

თავისი მოხსენება პოპოვმა დაამთავრა სიტყვებით: „...დასასრულ შემიძლია იმედი გამოვთქვა, რომ ჩემი ხელსაწყო შემდგომი გაუმჯობესებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტრული სხივების საშუალებით შორ მანძილზე სიგნალების გადასაცემად“.

პოპოვი დაუღალავად განაგრძობდა მუშაობას თავისი აპარატის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი გამოყენება პრაქტიკული მიზნებისათვის.

პოპოვის შრომები და ღვაწლი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაფასდა ღირსეულად. 1917 წლის 7 ნოემბერს კრეისერ „ავრორას“ რადიოსადგურმა მთელ მსოფლიოს ამცნო საბჭოთა ხელისუფლების შექმნა. მეორე დღეს საბჭოთა თავრობამ რადიოთი მიმართა მიწოდებით „...ყველას, ყველას“. და ამრიგად, პირველად მსოფლიოში განხორციელებულ იქნა რადიომაუწყებლობის იდეა.

რადიომ მხიშვნელოვანი როლი შეასრულა სამოქალაქო ომის წლებშიც.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დაუღალავად ზრუნავდა საკუთარი რადიომრეწველობისა და რადიოტექნიკის შექმნისათვის, რადიოსაქმის მეცნიერული საფუძვლების შექმნისათვის. განსაკუთრებით ძლავრად განვითარდა ჩვენში რადიო სტალინური ხუთწლედების მანძილზე. იგი მტკიცედ დაინერგა როგორც სამოქალაქო ცხოვრებაში, ისე საზხედრო საქმეში. კარგად მოწყობილმა რადიო კავშირმა უდიდესი როლი შეასრულა დიდ სამამულო ომში, იმ ისტორიულ გამარჯვებებში, რომლებიც წითელმა არმიამ ფაშისტებზე მოიპოვა.

სამამულო ომის დღეებში ყველა ჩვენგანმა განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნო რადიოს ძლიერება. მას რამდენიმე წამში მიჰქონდა ჩვენი თავლუწდველი სამშობლოს ყველა კუნჭულში გამამხნევებელი და სასიხარულო სიტყვები. რეპროდუქტორთან მდგომნი, ჩვენ, მილიონობით სხვა საბჭოთა ადამიანებთან ერთად, წითელ მოედანზე მყოფ მოსკოველების გულთა ძგერას ვეერთებდით ჩვენს სიხარულს უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის გამარჯვების ბრძანებათა გადმოცემის დღეებში და მათთან ერთად ვისმენდით საზეიმო სალუტებს....

რადიომ რამდენიმე წამში მოჰფინა ჩვენს ქვეყანას ყველაზე სასიხარულო ცნობა, რაც კი შეეძლო საბჭოთა პატრიოტს მოესმინა. დიდმა სტალინმა აუწყა თავის ხალხს:

— ამხანაგნო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა.

საბჭოთა ხალხი ამაყობს, რომ ეს შესანიშნავი გამოგონება ჩვენს ქვეყანას, მის დიდ შვილს — ალექსანდრე სტეფანეს-ძე პოპოვს ეკუთვნის.

ამიტომ ასე ზეიმით აღნიშნა საბჭოთა ხალხმა რადიოს გამოგონების 50 წლისთავი, საბჭოთა მთავრობამ კი — სპეციალური დადგენილებით უკვდავჰყო დიდი გამომგონებლის ხსოვნა.

გიორგი ღომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კულტურის ძველი კერა

(ფურცელი ისტორიიდან *)

მცხეთის არქეოლოგიური კვლევის ისტორია

პირველი არქეოლოგი მცხეთას ეწვია გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ეს იყო თბილისში ჩამოსასხლებული უცხოელი ფ. ბაიერნი. იმ დროს ქართველი მეცნიერები საერთოდაც ჯერ კიდევ თითებზე ჩამოითვლებოდნენ და სპეციალისტი არქეოლოგი ხომ სულ არავინ იყო. 1872 წელს დაიწყეს საქართველოს სამხედრო გზატკეცილის გადაადგილება (არაგვს დაამორეს) და როდესაც სამთავროს მონასტრისა და ბებრისციხეს შორის ახალ გზას სწერდნენ, მრავალ სამარხს წააწყდნენ. ეს სამარხები ბრტყელ-ბრტყელი ლოდებისგან იყო ამოგებული და შიგ ჩონჩხებთან ერთად სხვადასხვა ნივთებიც ჩნდებოდა. თბილისიდან მიავლინეს ბაიერნი, რომელიც ხუთი ზაფხულის განმავლობაში აწარმოებდა აღმოჩენილი ძველი სასაფლაოს თხრას. მან საკმაოდ ბევრი რამ იპოვნა საინტერესო, მაგრამ — როგორც დღესდღეობით გამოირკვა — ძალიან ბევრი მოუგებელი დარჩა.

მცხეთის სიძველეთა ნამდვილი მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო. მცხეთის გეგმაზომიერ არქეოლოგიურ კვლევას ხელი მოჰკიდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილებამ 1937 წელს. მაშინ ახლად შექმნილმა სამეცნიერო დაწესებულებამ, რომელსაც აკადემიკოსი ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და ნივთიერი კულტურის ინსტიტუტი ეწოდებოდა**) და რომელსაც პროფესორი სიმონ ჯანაშია ხელმძღვანელობდა, მცხეთაში გაგზავნა ახალგაზრდა არქეოლოგების მცირე ჯგუფი ალ. კალანდაძის მეთაურობით. ეს ჯგუფი მალე გადაიქცა დიდ ექსპედიციად. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია მას აქეთ თითქმის უწყვეტლივ და ფრიად ნაყოფიერად მუშაობს. მან მრავალი შესანიშნავი აღმოჩენით გაამდიდრა მშობლიური მეცნიერება და მსოფლიო სახელი მოუხვეჭა საქართველოს ძველ დედაქალაქს.

მცხეთის ექსპედიციას 1940 წლამდე ჩვენი დიდი ისტორიკოსი მხცოვანი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია უდგას სათავეში.

ექსპედიცია განვლილი 7 წლის განმავლობაში ძველი მცხეთის 3 გარეუბანში აწარმოებდა თხრას. ერთი — სამთავროს მინდორია (მცხეთის ჩრდილოეთით), მეორე — არმაზისხევი (დასავლეთით) და მესამე — ბაგინთის კლდოვანი მთა (სამხრეთით, მტკვარგამოღმა). სამივე ადგილს უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები მიღებული.

სამთავროს უძველესი სამარხთაგანი ბრინჯაოს ხანის შეიარაღებული მეომრისა.

*) წერილები მცხეთის არქეოლოგიური ჯათხრების შესახებ. დასაწყისი იხ. ჟურნალი „პიონერი" № 1

**) როგორც ვიცით, 1941 წლიდან საქართველოს უკვე საკუთარი მეცნიერებათა აკადემია აქვს, ხოლო ზემოაღნიშნული ინსტიტუტის მაგიერ ორი მისი დაწყოფი ინსტიტუტი მუშაობს: ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი.

სამთავრო

სამთავროს მინდორს 15-ოდე ჰექტარი სიგრცე უჭირავს. აღმოსავლეთით იგი საქართველოს სამხედრო გზამდე, ანუ უფრო სწორედ, არაგვის რიყემდე აღწევს, დასავლეთით — კოდმანის ზეგრამდე, ჩრდილოეთით — ბებრისციხის ანუ ნაცხორის ხეევამდე, ხოლო სამხრეთით — თითქმის სამთავროს მონასტრამდე.

სადღეისოდ უკვე სრულიად აშკარაა, რომ ეს მინდორი თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში (ახალი წელთაღრიცხვის V-VI საუკუნეებამდე) უწყვეტლივ წარმოადგენდა სასაფლაოს თუ მთელი მცხეთისა არა, მისი ერთერთი დიდი უბნისათვის მაინც. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს ის უბანი უნდა ყოფილიყო, რომელსაც „არაგვისკარი“ ეწოდებოდა. მინდვრის ჩრდილო ნაწილში სამარხები ძალიან ბევრია, სამხრეთში კი უფრო ნაკლები.

სამთავროს უძველესი სამარხები მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 3-3, 5 მეტრ სიღრმეზეა აღმოჩენილი. უახლესი კი ზოგჯერ 30-40 სანტ. სიღრმეზე.

სამარხები სხვადასხვაგვარია. თავდაპირველად მცხეთელებს უბრალო ორმოებში უმარხავთ მიცვალებულნი. ამ ორმოებს მიწით ავსებდნენ და ზოგჯერ რიყის დიდრონ ქვებს ალაგებდნენ ზემოდან. ამ **ორმოსამარხებს** სასაფლაოს ყველაზე უფრო ღრმა ფენები უკავიათ და ხშირია შემთხვევა, როდესაც მერმინდელი სამარხები ძველ თავზეა ჩადგმული. ძველი წელთაღრიცხვის პირველს წესად მქონდა მიცვალებულთა მარხვა დაწვენილ დიდრონ ქვევრებში. ეს არის **ქვევრსამარხები**. ამ წესს სულ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში ვხედავთ და ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან მიცვალებულებს უკვე **ნაგებ სამარხებში** კრძალავენ. ეს სამარხები აგებული და გადახურულია თლილი ქვის ფილებით, დიდრონი ბრტყელი კრამიტებით, ან ასეთივე აგურებით. ამის მიხედვით არქეოლოგები მათ უწოდებენ ქვაყუთებს, კრამიტყუთებს ან აგურყუთებს. ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნის შემდეგ კრამიტყუთები და აგურყუთები აღარა გვხვდება. ყველაზე გვიანდელი ქვაყუთები VI-VII საუკუნეებს ეკუთვნიან. ამის შემდეგ კი სამთავროს სასაფლაო, ეტყობა, გაუქმებულია.

ორმოსამარხებში მრავლადაა დაცული უძველესი კულტურის მრავალფეროვანი ნაშთები. ეს ის ხანაა, როდესაც საქართველოში და საერთოდ კავკასიაში ე. წ. ბრინჯაოს ინდუსტრია ჰყვაოდა და რკინა მხოლოდ თანდათანობით ვრცელდებოდა. ეროვნიერთა აზრით ეს გარდამავალი ხანა [illegible] შუალედ ძველი წელთაღრიცხვის XII-X საუკუნეებით განისაზღვრება. არის უფრო გვიანი დროის ორმოსამარხებიც, რომლებშიც რკინა უკვე გაბატონებულია და ბრინჯაოსი თითო-ოررოლა სამკაულია გვხვდება.

ამ დროს მცხეთელები მიწათმოქმედი და მესაქონლე, მეომარი და მონადირე ხალხი ყოფილა. ყველა მამაკაცი, ყრმა და მოხუცი, იარაღს ატარებდა და როცა კვდებოდა, ამ იარაღითურთ იმარხებოდა. დედაკაცებს უფრო საოჯახო საგნებს და სამკაულს ატანდნენ საფლავში. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველას ბლომად ჰქონია თიხის ნაირნაირი, კარგი ხარისხის მოხდენილი ჭურჭელი და ამ ჭურჭელს დაენანებლივ ატანდნენ თან მიცვალებულებს. იარაღი თავდაპირველად ძვლისა და ბრინჯაოსი ჰქონიათ. შემდეგ თანდათან გადასულან რკინის იარაღზე, რომელიც სილამაზით ალბათ ჩამოუ-



სამთავროს ქვაყუთებში აღმოჩენილი სამკაულები:
1. ოქროს გულსაკიდი მარგალიტითურთ.
2. ამ გულსაკიდზე ამოკვეთილი პორტრეტის ანაბეჭდი. 3. მინის ბეჭედი.

ვარდებოდა, მაგრამ სიმაგრე — მკრეხელობით კი აჯობებდა ბრინჯაოსს. სამკაულთაგან ყველაზე მეტია ნაირნაირი მძივები და ბრინჯაოს ქინძისთავები.

გარდა თიხის ჭურჭლისა, იარაღისა და სამკაულისა, მიცვალებულს ყოველთვის ატანდნენ სასმელ-საჭმელსაც, ვინაიდან სწამდათ, რომ მას საიქიოშიც ესაჭიროება საზრდოობა. სამარხებში თიხის ლანგრებ-

ზე და ჯაბეზე თითქმის ყოველთვის ვპოულობთ ძროხის, ღორის, ცხვრის, თხის, თუ რომელიმე გარეული ცხოველის თავ-ფეხის ძვლებს და ზოგჯერ მთელ ჩონჩხსაც. თავის დროზე, რა თქმა უნდა, ხორცი იქნებოდა ჩატანებული. ახლა კი ეს ძვლები ძლიერ მასალას გვაძლევს იმდროინდელი მესაქონლეობის შესასწავლად, ამავე მიზნის არა ნაკლებ ეხმარება თიხის სადღვებლებისა და საწველელების სიხშირე... მეორე მხრივ კი გარეული ცხოველთა ძვლების შესწავლა ძალიან გვიწყობს ხელს იმის გარკვევაში, თუ რა და რა ნადირი ბუდობდა ტცხეთის გარშემო მთა-ტყე-ველებში ამ სამი ათასი წლის წინათ, რას ნადირობდნენ იმდროინდელი ვაჟკაცები. ერთ-ერთ ორმოსამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბრტყელი ქამარი, რომელზეც ნახატებია ამოკაწრული. ამ ნახატებზე ვხედავთ: ცხენოსან, შვილდისრებით შეიარაღებულ მონადირეებს, სანადირო ძაღლებს, ირემებს, შველებს, ფრინველებს და თევზებსაც კი.

ერთი სიტყვით, ორმოსამარხებში უამრავი რამაა ნაპოვნი ისეთი, რაც ძალიან გვიადვილებს საკმაო წარმოდგენა შეეძლოთ იმდროინდელი ტცხეთის მოსახლეობის, მისი მეურნეობის, სარწმუნეობისა და ზნე-ჩვეულების შესახებ. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ თითქმის სამი ათასი წლის წინათ ამ მოსახლეობას უკვე მომწიფებული და თავისებური კულტურა ჰქონია. მსგავსი კულტურის ტეგლები აღმოსაჩენია საქართველოს ბევრ სხვა ადგილებშიც(ა გათხრებით აღმოჩენილი (ნარეკვავი და ფლავისმანი ქართლში, ბეშთაშენი თრიალეთში, ბაკურციხე, იყალთო და საგარეჯო კახეთში და სხვ.).

მიუხედავად დიდი კულტურული თავისებურებისა, უკვე ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეთა ორმოსამარხებში ვხედავთ ზოგიერთ ნივთებს (მაგ., ხმელთაშუა ზღვიდან თუ ინდოეთის ოკეანედან მომდინარე მძივებს), რომელნიც მოწმობენ აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობას საკმაოდ შორეულ ქვეყნებთან.

მომდევნო ხანაში, ძველი წელთაღრიცხვის მიწურულში კი უცხოეთთან ურთიერთობა გაციცანით უფრო ცხოველი და მრავალმხრივი ხდება. ეს ის დროა, როდესაც უცხოელი გეოგრაფები და მწერლები უკვე საკმაოდ კარგად იცნობენ ან აგვიწერენ ქართველს, ანუ, მათი სიტყვით, იბერიას და მის დედაქალაქს. სამთავროს სასაფლაოზე ამ დროს ჩნდება ქვევრსამარხები, მათში სრულიად ვეღარ ვხედავთ იარაღისა და თიხის ჯურჭლის სიმრავლეს, მაგრამ სამაგიეროდ გვხვდება პირველი ფულები (ვერცლისა), რომელიც ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებში არის შეტანილი ძველ სპარსულ სახელმწიფოში, პართიაში. ფულები, ცხადია, დანამდვილებით ათარიღებენ ქვევრსამარხებს.

იგივე ვითარება გვაქვს ქვაყუთებში, ავერკუთებისა და კრამიტყუთებში. აქ ვხედავთ I,II და III საუკუნის ფულებს, პართულსა და რომაულს. ზუსტი დათარიღების გარდა, ეს ფულები იმითაცაა საყურადღებო, რომ ისინი მოწმობენ ქართლის მჭიდრო ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას რომთან და სპარსეთთთან, რაზედაც წინა წერილში უკვე გვქონდა საუბარი. ამას ადასტურებს აგრეთვე ზოგიერთი სამკაული და გამოხატულება.

IV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს ერთი წარწერიანი ქვა, რომელიც 1938 წელს აღმოჩნდა სამთავროში. ეს წარწერა გვაცნობს, რომ მის ქვეშ მარხიან ქალაქ მცხეთის მთავარი მხატვარი და ხუროთმოძღვარი აქოლი და მისი მეუღლე შეერაზურია. როგორც სჩანს, ამ დროს მცხეთა უკვე დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქი ყოფილა. სწორედ ამგვარ ქალაქად აღწერენ მცხეთას ბერძენი გეოგრაფები ჯერ კიდევ I საუკუნეში.

მომდევნო ხნის სამარხებში — ქვაყუთებში ფულები უკვე აღარ გვხვდება და ისინი მათში აღმოჩენილი სამკაულების თუ ზოგი სხვა წერილი საგნების მიხედვით მიეკუთვნებიან IV-VI საუკუნეებს. აღსანიშნავია, სიმრავლე ნაირნაირი პაწია მინის ჯურჭლების, ე. წ. სანელსაცხებლებისა, რომელთა დიდი უმეტესობა უეჭველად მცხეთაშივე კეთდებოდა.

შედარებით მდიდრული, ოქროს სამკაულთა შემცველი ქვაყუთები სამთავროში თითო-ოროლა აღმოჩენილი და ამ მხრივ სამთავრო ვერ შეედრება არმაზისხევს, რომლის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი. თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ სამთავროს ქვაყუთების უმეტესობა ძველადვე ანცდილი და გაძარცული.

ახალი წელთაღრიცხვის IV-VI საუკუნეთა კუთვნილი და იმგვარივე ნივთების შემცველი ქვაყუთები, სამთავროს გარდა, აღმოჩენილია კარსნისხევშიც, არმაზისხევშიც (მდიდრულ სამარხთა მახლობლად), მცხეთის სადგურის მიდამოებშიც, წიწამურის ველზეც და სხვ. ეს, იმასაც ნიშნავს, რომ იმდროინდელი მცხეთა და მისი უბნები თუ გარეუბნები გაციცანით უფრო ფართოდ იყვნენ გავრცელებული, ვიდრე დღევანდელი დაბა.

:: მითოლოგიის :: ლექსიკონი

მიჯაჭვული პრომეთე და ზევსის არწივი. ქვევით— ადამიანები პრომეთეს მიერ მოტაცებულ ცეცხლთან

პრომეთე — ტიტანების მოდგმას ეკუთვნოდა. სახელი პრომეთე „გამჭრახის", „შორსმჭვრეტელს" ნიშნავს. თავდაპირველად პრომეთე, როდესაც ტიტანები ზეუსს ებრძოდნენ, როგორც შორსმჭვრეტელი, წინასწარ იმის მცოდნე, თუ ვისი გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო ბრძოლა, ზეუსის მხარეზე დადგა. ზეუსმა გაიმარჯვა და შეიქმნა კოსმოსი, ქვეყნად წესრიგი დამყარდა.

მითოლოგიის გადმოცემით, პრომეთე ითვლებოდა ადამიანის შემქმნელად და კაცობრობის მფარველად ღმერთების ძალადობა-უსამართლობისაგან. მან თიხიდან შექმნა პირველი ადამიანები, მათი კეთილდღეობისათვის ოლიმპიდან ციური ცეცხლი მოიტაცა, მოუტანა მათ და მისი გამოყენება ასწავლა, თუმცა, როგორც შორსმჭვრეტელმა, თავიდანვე იცოდა, თუ რა სასტიკი სასჯელი მოელოდა მას ამისათვის. განრისხებულმა ზეუსმა პრომეთე ძლიერ მიჯაჭვა კავკასიის მთებში და მიუჩინა თავისი არწივი, რომელიც ყოველდღე გულ-ღვიძლს უწიწკნიდა. წყლული ღამით უმთელდებოდა, რომ ხელახლად დღისით არწივს ეგლეჯა. ამაყად იტანდა პრომეთე სანინელ ტანჯვას. ბოლოს ჰერკულესმა მოჰკლა არწივი და გაათავისუფლა ეს შეუდრეკელი დევგმირი.

„ეს ამბავი,—ამბობს აკაკი წერეთელი,—საქართველოში, მთელ კავკასიაში სხვადასხვა ვარიანტებად მოდებულია, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ პრომეთეს ამირანი ეწოდება". ამირანიც შორსმჭვრეტელია: „ცაში არა გამოეპარებოდა-რა და ქვესკნელში ჭიანჭველებს ხედავდაო",—ნათქვამია ხალხში.

აკაკის აზრით, მითი პრომეთეს (ამირანს) შესახებ „ჩვენნ ქვეყნის შვილია" და აქედან გადასულა საბერძნეთში. საქმე ისაა, რომ ეს მითი დაკავშირებულია ცეცხლის გამოყენებასთან ლიფთინის დამუშავებასთვის, რკინის „ქედვდან" რკინის „წრთობაზე" გადასვლასთან. ძველმა ქართველებმა კი ძველ ბერძნებზე გაცილებით ადრე (ძველ წელთაღრიცხვით II ათასეულის ბოლოს) იცოდნენ ცეცხლში ნაწრთობი იარაღის ხმარება, ამიტომ „ამის და მიხედვით,—ამბობს აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, — თქმულებანიც, უშუალოდ დაკავშირებული წრთობილი იარაღის ხმარებასთან, საბერძნეთში შედარებით უფრო გვიან უნდა შესულიყო". თვით ბერძენთა ძველი ლეგენდები პრომეთეს შესახებ თქმულებას კავკასიურ თქმულებად თვლიან და პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კავკასიას ასახელებენ.

თქმულება ამირანის შესახებ ასახულია ქართული მითოლოგიური ეპოსის ძეგლში — პოემა „ამირანში", რომელიც ამაკ დროს საკაცობრიო კულტურის ძეგლია.

როგორც ეს თქმულება გადმოგვცემს, ღმერთებს დასაბამიდან არ სურდათ ციური ცეცხლს—ქალღმერთ ყამარს ქვეყანა ენათა.

> არავის სურდა ზეციერს
> ყამარს ქვეყანა ენითა,
> ზეციდან ცეცხლს წაიღებ,
> ვერ ეფქვა ღმერთთნა ენითა
> კაცთა უეცხლოდ დგებიდნ
> ღმერთებს, ჰკონდათ რწმენადა...

მაგრამ კაცისა და ღმერთის ნაშობი ამირანი „არ სცნობს განაჩენს ღვთისასა". იგი მზრუნველია „კაცთა მოდგმისა ბედზედა", ამიტომ აღუდგება ღმერთთა სამყა-

როს და მოიწადინებს ციური ცეცხლის მოტაცებას.

ჩამოდი ქვეყნად, წაიღეთ
საშვილად კაცთა თემისა, —

მიმართავს იგი ქალღმერთს ყამარს. ღრუბელთ უფალს ელიას—ყამარის მაპას კი ასე ემუქრება:

...არცა ვარ ქვეშა მინდვრისა,
რომ გადამრეცხო წყალითა,
არცა ვარ მინდვრის ყვავილი,
რომ ამოგლეჯო ქარითა.

შურისძიების კოცონსა
განსტეტ შენის თვალითა,
გავთელავ შენსა სამსხვერპლოს
ამ ჩემი ფეხით მალითა,

აჯანყებულსა ქვეყანას
ვერ გასტეტ ცის ამალითა,
მოგტაცებ და შენ დაგფერფლავ
შენივე ცეცხლის ალითა.

ეს მუქარა შეასრულა კიდევაც ამირანმა, მოიტაცა ყამარ-ქალი, ციური ცეცხლი მიჰგვარა ქვეყნიერებას:

ცით ცეცხლი მოაქვს ამირანს, —
ღვთის რისხვას როდი შეშინდა.

ამისათვის

ზეცამ დასჯაცელა ჭაბუკი,
ჯაჭვით მიაბა კლდეზედა,
ფერგთის მთა და გორაკი
სახლად დაუდგა სარზედა.

ასე თავდება ქართული თქმულება ამირანზე.

ღმერთების წინააღმდეგ პრომეთეს ბრძოლის მითი გადმოცემული აქვს აგრეთვე V საუკუნის (ძველი წელთაღრიცხვით) ბერძენთა უდიდეს ტრაგიკოსს ესქილეს. ჩვენამდე მოაღწია მისმა ტრაგედიამ „მიჯაჭვული პრომეთე“. ესქილეს პრომეთეც, როგორც ამირანი, ბრძენი, მოდგარი, მამაცი, ამაყი და შეუპოვარი მებრძოლია სამართლიანობისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის. ისიც შეურიგებელი მტერია ყოველგვარი ძალადობისა და ტირანიის, მეამბოხეა, ღმერთების ურჩი: „ვიტყვი პირდაპირ, მძაგს ღმერთები ყველა“,—ამბობს ესქილეს პრომეთე.

პრომეთეს სახე, რომელიც კ. მარქსს ყველაზე კეთილშობილ წმინდანად და წამებულად მიაჩნდა კაცობრიობის მატიანეში, მუდამ ცეცხლთან, კულტურული პროგრესის ამ უცილობელ პირობასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ესქილეს მეორე ტრაგედიას პრომეთეს შესახებ — „ცეცხლის მომტანი პრომეთე“ ეწოდებოდა. „პრომეთე“ ეწოდებოდა აგრეთვე დღესასწაულს, რომელიც ცეცხლის დამონის, პატივსაცემად ამართებოდა ხოლმე საბერძნეთის ზოგიერთ ადგილებში. ამ დღესასწაულს წაულის დროს, მაგალითად, ათენში, ერეტრიაში და კოლონის ახლო მდებარე ჭალაში პრომეთეს საკურთხე

სხარჯული სიტყვები

(შედგენილია მწერალ როდიონ ჭორჭიას მიერ)

ბაბილონის გოდოლი—უთავბოლო, არაული საქმე.

ბიბლიაში სწერია: ბაბილონში მოინდომეს ცამდე კოშკის აშენება, რომ ღმერთთან ასულიყვნენ. ღმერთი განრისხდა და მშენებლებს ენა აურია. როცა უფროსი დაიძახებდა მიწა მომიტანეთო — ქვა მოჰქონდათ, წყალი მომიტანეთო — ხე მოჰქონდათ, აქეთ მოდითო — იქით მიდიოდნენ. და აირია ყველაფერი (შესაქმე 11.7—9).

მე გრამატიკაზე მაღლა ვარ — უკიდურესად ყოყოჩა და უფიც ცაცხე იტყვიან.

რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა შეცდომით უცხო სიტყვა იხმარა, ინტიბარი არ გაიტეხა და სთქვა — ამიერიდან ეს სიტყვა ლათინური იყოსო. მარცელუსმა მას უთხრა: მეფეო, შენ შეგიძლია ადამიანებს უბრძანო, მაგრამ სიტყვა მხოლოდ გრამატიკას ემორჩილებაო. „მე გრამატიკაზე მაღლა ვარ!" — უპასუხა ბრიყვმა მეფემ.

უკანასკნელი ოჰიკანი—ცნობილი მწერლის ფენიმორ კუპერის (1789-1851) მოთხრობის სათაურია. ოჰიკანები ინდოელთა ერთ-ერთი ტომი იყო ამერიკაში, ეს ტომი ამოწყვიტეს ევროპელებმა. თავის მოთხრობაში ფ. კუპერი ამ ტომის უკანასკნელ წარმომადგენელს აგვიწერს. უკანასკნელი მოჰიკანი ნიშნავს რომელიმე დაჯგუფების, გვარის, პარტიისა ან სხვა ამგვარის უკანასკნელ წარმომადგენელს.

პროფანი—კაცი, რომელსაც ამა თუ იმ საქმისა არა ესმის რა. გამოთქმა ეკუთვნის რომაელ მწერალს ვირგილიუსს. რომში პროფანს საერო პირს უწოდებდნენ, რომელიც სასულიერო საქმეში განსწავლული არ იყო.

ფენიქსი — მარადიულობის სიმბოლო. ეგვიპტელების რწმენით ფენიქსი იყო ფრინველი, 500 წელიწადში ერთხელ კვდებოდა და ისევ ცოცხლდებოდა.

შეისწავლე შენი სამშობლო მხარე

შხარა—კავკასიონის ქედის უმაღლესი მწვერვალი

წაიკითხავთ ამ სათაურს და ალბათ გაიკვირვებთ—რატომ უმაღლესი? ჩვენ ხომ ვიცით, რომ იალტუზი 5633 მეტრი სიმაღლისაა ზღვის დონიდან, დიხ-თაუ 5198 მეტრისა, შხარი სიმაღლე კი მხოლოდ 5184 მეტრია. მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ. შხარა ნაცვლად უმაღლესი მწვერვალია კავკასიონის ქედისა, რადგან იალტუზიც და დიხ-თაუც, მართალია შხარაზე უფრო მაღლები არიან, მაგრამ კავკასიონის ქედში კი არ მდებარეობენ, არამედ მის ჩრდილოეთით. იალტუზის ვულკანური ორთავა კონუსი ცალკე აღიმართება, ხოლო დიხ-თაუ და მისი მეზობელი „ოშმთან-თაუ—(სიმაღლე 5145) გვერდით ქედში მდებარეობენ და კავკასიონის წყალგამყოფი ქედის მწვერვალებს არ ეკუთვნიან.

ასევე არ ეკუთვნის კავკასიონის ქედს მყინვარწვერიც (ყაზბეგი), რომლის სიმაღლე 5043 მეტრია. მწვერვალი შხარა მდებარეობს მდინარე ენგურის სათავეებში, ცენტრალური კავკასიონის უმაღლეს ნაწილში, რომელსაც მთამსვლელები, ხუმრობით, „კავკასიონის პრეზიდიუმს" უწოდებენ — ამას ხუთი მწვერვალი აქვს. მის დასავლეთით აღმართულია კავკასიონის ქედის მეორე „ხუთთათასიანი" მწვერვალი — ჯახსა (სიმაღლე ზღვის დონიდან 5051 მეტრი).

ფოტოსურათზე ნაჩვენებია შხარა—სამხრეთიდან, ქვემოთ—სოფელი უმეული.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პიონერი

საქ. ალკ. ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 4

1945 წ. მაისი

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამოცემლობა „კომუნისტი"

ПИОНЕРИ

№ 4

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Комунисти"

შინაარსი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი . . . . . 2 „
გიორგი კაჭახიძე—გამარჯვება (ლექსი). . . . . გარეკანის მე-2 გვ.
ლევ კასილი—გილოცავთ გამარჯვებას! („პიონერსკაია პრავდადან").
(თარგმანი თ. გ-ლისა) . . . . . 3 „
საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გიორგი სტურუა—იყავით ბეჯითი სწავლასა და გარჯაში (წერილი) 5 „
სანდრო შაწუნაშვილი—ცხრა მაისისთვის თაიგულები (ლექსი) . . 7 „
გიორგი ქუჩიშვილი—პირველი მაისი (ლექსი) . . . . . 7 „
გიორგი ნატროშვილი—ჩვენს სოფელში (მოთხრობა) . . . . . 10 „
ხარატონ ვარდოშვილი—იხარე გმირის დედაო! (ლექსი) . . . . 10 „
ალიო მაშაშვილი—დაბრუნება თეთრ სოფელში (ლექსი) . . . . 11 „
ანდრო თევზაძე—საყვარელი მაისი (ლექსი) . . . . . 12 „
ლიდია მეგრელიძე—გიხარია, მამა დაგიბრუნდება... (ლექსი) . . . 12 „
ალეკო შენგელია—მამის წერილი (ლექსი) . . . . . 13 „
მურმან ლებანიძე—სიხარულის ცრემლები (ლექსი) . . . . . 13 „
ვინც მახვილით მოვა, მახვილითვე დაიღუპება . . . . . 14 „
გიორგი ქუჩიშვილი—პიონერის პირობა (ლექსი) . . . . . 15 „
დიდება გმირ წითელ არმიას და მის მხედართუფროსებს! . . . . 16 „
გერმანე სიხარულიძე—მოწინავე ბაზზე (ნამდვილი ამბავი). . . . 18 „
დავით შამათავა—ნინო ნაკაშიძე (წერილი) . . . . . 23 „
ევგენი წულაძე—რადიო (წერილი) . . . . . 25 „
გიორგი ლომთათიძე—ქართული კულტურის ძველი კერა (წერილი
მეორე) . . . . . 26 „
შ. გვინჩიძე—მითოლოგიის ლექსიკონი . . . . . 29 „
როდიონ ქორქია—სხარტული სიტყვები . . . . . 31 „
კოტე ჯავრიშვილი—შხარა—კავკასიონის ქედის უმაღლესი
მწვერვალი . . . . . 31 „
გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 „

გარეკანზე მხატვარ კ. **კიკნაძის** ნახატი **„გამარჯვების ზეიმზე"**.

პასუხისმგებელი რედაქტორი თ. გელიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი. ლენინის ქ., № 28. ტელ. 3—81—85.

უე 07287 82×110 1/16 ქაღ. ფურც. 36712 ბეჭდ. ნიშ. თბეჭდ. ფურც. 4 ბეჭდვ. ფურც. გამომც. შეკვ. № 34
ფ. ბ. ბერიას სახელობის ბ/კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28, შეკვ. № 811, ტირაჟი 7000
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი

გუდკეთილი გველი

(ზღაპარი—ხუმრობა)

ერთმა გლეხმა შეკაზმა ცხენი და ქალაქს წავიდა სოიის მოსატანად. ქალაქში მან იყიდა ორრმეტი გეჯი სოია.

— რვა გეჯაზე მეტს შენი ცხენი ვერ წაიღებს,—უთხრა მას ვაჭარმა, — დატოვე ოთხი აქ. ხვალ მოხვალ და წაიღებ.

— ჩემი ცხენი დაბერებულია, მას რვა გეჯის წაღებაც გაუჭირდება, მხოლოდ ექვსს აკიდებ, დანარჩენს თვითონ მე წამოვიკიდებ.

ასედაც მოიქცა: ექვსი გეჯა ცხენს აჭკიდა, დანარჩენი ექვსი თვითონ მოიკიდა ზურგზე. შედეგ შეჯდა ცხენზე-და გაუდგა გზას.

ცხენმა გადადგა ერთი-ორი ნაბიჯი და შედგა. ფეხები ეკეცებოდა. აშკარა იყო, იგი სოფელს ვერ მიაღწევდა.

— აი უმადური პირუტყვი!—გაჯავრდა გლეხი.—სხვები თავის ცხენებს რვა გეჯას აკიდებენ ხოლმე, მე კი შეგიცოდე—და ექვსი ჩემს ზურგზეა. რაღას გაიდგი ფეხი?

გამოცანები

დილით მზე ხარ მოღრუბლული,
ელვა-ჭექა შენზედ ვნახე.
ცხრა საათი ღამე იყო,
რთვილს აგდებდა—მაშინ გნახე.
ან ეს უნდა გამოიცნო,
ან საღვინით ღვინო ნახე.

*

იგი კაცი რა კაცია,
ცხრაი ხელი რომ აცვია?



ამ ნახაზზე ფანქარი გაატარეთ ისე, რომ იგი არ აიღოთ ვიდრე ყველა წერტილზე არ გაივლით; ამავე დროს ერთსა და იმავე ხაზზე ორჯერ არ გაიაროთ.

შედგენილია ქ. ბასიშვილის მიერ

120 წლის ყველი

ამბობენ, შვეიცარიაში ასეთი ჩვეულებაა. ბავშვის დაბადების დღეს აკეთებენ დიდ ყველს და აწერენ მასზე ახალდაბადებულის სახელს, დაბადების რიცხვს, თვეს და წელს.

საზეიმო დღეებში ყველს შემოდგამენ ხოლმე სუფრაზე. როდესაც ყველის პატრონი კვდება, იგი მას თავის შვილებს უანდერძებს.

რამდენიმე წლის წინათ შვეიცარიულ გაზეთებში სწერდნენ ყველის შესახებ, რომელსაც 120 წელი შეუსრულდა. ეს „პაპა“ გასჭრეს ხდა შესჭამეს. იგი ძეტად გემრიელი აღმოჩნდა.

როგორ სძლებს ყველი ამდენ ხანს, რატომ არ ფუჭდება იგი? იმიტომ, რომ გარედან ქერქი აქვს, რომელიც მას მავნე სოკოებისაგან იცავს.

ანდაზები

უნახავმა ნახაო ცხრა მთა გადალახაო.

*

ცხრამარტობას ცხრა მტკაველი
თოვლი მოვიდაო.
დილას შიგ ჭოკი დაარჭვეს
და საღამოს წაიქცაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხია, იცი, ომი დამთავრდა... მამიკო მალე მოვა!



თბილისი. ბერიას სახელობის მოედანი. ნახიმოველები საპირველმაისო პარადზე.